ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 5 ივლისი, 2021 №120 (8649) ფასი: 60 თეთრი

ნინო ლომჯარია: „ცესკოს თავმჯდომარის პოსტზე კანდიდატურის წარდგენას არ ვაპირებ“

გვ.2

„ნიკა მელიას თბილისის მერობის კანდიდატად განვიხილავთ“

გვ.3

მურმან დუმბაძე: „ქართული ოცნებიდან“ გახარიასთან წასული ადამიანების 95% ბიძინა ივანიშვილის ხალხია“

თაკო ჩარკვიანი არჩევნებზე ნაცმოძრაობასთან ერთად შეიძლება გამოვიდეს

გვ.3

„ჟვანიას გადადგომასა და მოსამართლეების გამწესებას შორის უეჭველი კავშირია“

„ოპოზიციას ვეუბნები – ჯერ ნუ იყოფთ საბანს, თორემ უსაბნოდ დარჩებით! მიშას ეუბნებიან, შენ გაიწიე და პარტია გვათხოვეო“

გვ.2

„საქართველოში სასამართლო არ არსებობს“

მამუკა ახვლედიანი: „ზოგიერთი უვადოდ დანიშნული მოსამართლე შესაძლოა პასუხისმგებლობაშიც კი მიეცეს“

„კობახიძეს და მის ექვს-შვიდ თანაგუნდელს ხელში უჭირავთ ასანთი“

გვ.4

გოჩა თევდორაძე: „ეკლესიასა და პატრიარქზე თავდასხმებს ვუპირისპირდებით“

„მიუღებელია საელჩოთა და ევროპარლამენტარების მკვეთრი ჩარევა ჩვენს სულიერ ცხოვრებაში“

გვ.4

საპატრიარქო პრაიდის კვირეულის შესახებ

5 გორის ავტობუსში მთვრალი მამაკაცი დააკავეს „ორსულს ეჩხუბებოდა, უნდა გახდეო“

5 თელასის ფინანსურ დირექტორს ქალისადმი ძალადობას აბრალებენ

4 იმუნიზაციის ცენტრები მოლებშიც მოეწყობა

5 შშმ ქალი გურჯაანში მეზობელს გაუპატიურების მცდელობას აბრალებს

6 დონალდ ტუსკი პოლონეთის უმსხვილეს ოპოზიციურ ჯგუფს ჩაუდგა სათავეში

ISSN 1987-9385

„საქართველოში სასამართლო არ არსებობს“

მამუკა ახვლედიანი: „ზოგიერთი უვადოდ დანიშნული მოსამართლე შესაძლოა პასუხისმგებლობაშიც კი მიეცეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი პასუხობს.

– ბატონო მამუკა, თქვენც კარგად ხედავთ თუ რა აჟიოტაჟია ატეხილი სასამართლო სისტემის ირგვლივ. გვესმის შეფასებები, რომ ხელისუფლება არანაირ მითითებებს არ ითვალისწინებს, არც ქვეყნის შიგნით და არც დასავლელი პარტნიორების მხრიდანო. რას იტყვით ამ ყველაფერთან დაკავშირებით?

– ძალიან მძიმე ვითარებაა დღეს სასამართლოში და ეს ისედაც კარგად ჩანს. ამ მძიმე ვითარებას ვინც არ აღიარებს, მხოლოდ სასამართლო სისტემაა. რა თქმა უნდა, ხელისუფლებაც ცდილობს ისე დაგვანახოს, თითქოს ყველაფერი წესრიგშია. სინამდვილეში ვხედავთ, რომ არის სისტემური პრობლემები.

– კერძოდ რა პროცესები მიდის?

– ცდილობენ, რომ ძალაუფლების გამტკიცება რაც შეიძლება სწრაფად მოახდინონ, რაც შეიძლება სწრაფად დანიშნონ მათთვის სასურველი კანდიდატები, რათა გარკვეული პოზიციები ჰქონდეთ აღებული, სანამდე სისტემური ცვლილებები განხორციელდება სასამართლოში.

– ანუ მიმდინარეობს სასამართლო სისტემის ჯიბეში ჩასმა?

– კი, ბატონო, ასეა. ფაქტიურად ერთი ჯგუფის მხრიდან მცდელობაა იმის, რომ 20-30 წლის განმავლობაში სასამართლო სისტემაში სხვა ადამიანები არ არსებობდნენ. აი ეს პროცესი მიდის ამ წუთში. ცდილობენ არანაირი სისტემური ცვლილება არ განხორციელდეს. როცა ჩვენი უცხოელი პარტნიორებიდან დაწყებული, ყველას მოწოდებაა, რომ ამ ქვეყნისთვის, ამ ქვეყნის მოსახლეობის უკეთესი მომავლისთვის საჭიროა ცვლილება სასამართლო სისტემის. ჩვენი ნომერ პირველი პრობლემა ამ წუთში არის სასამართლო სისტემა. თუ სასამართლო დამოუკიდებელი არ არის, მის გარეშე არავითარ ინვესტიციაზე, ეკონომიკურ გაჯანსაღებასა და ქვეყნის წინსვლაზე საუბარი ფიზიკურად შეუძლებელია. ასეთი რამ არ მომხდარა და არც მოხდება. ამიტომ, პირველ რიგში, ეს ცვლილებები სწორედ სასამართლოდანაა დასაწყები. დღეს სწორედ ამის წინააღმდეგ მიდის სასამართლო. დღეს ისინი თავის მოედანზე თამაშობენ და რაც სურთ, იმას აკეთებენ.

– სულ გვესმის მურუსიძე-ჩინჩალაძის კლანი, მართლაც ესენი მართავენ დღეს სასამართლოს? თუ ეს ყველაფერი ივანიშვილის ჩართულობით ხდება?

– ცალკე აღებული მურუსიძე-ჩინჩალაძე არაფერს არ წარმოადგენს. მათი სახელები და გვარები ნებისმიერი ადამიანით შეიძლება ჩანაცვლდეს. აქ პრობლემაა სისტემაში. სისტემური პრობლემა, რომელიც წარმოქმნის ამ ტიპის ადამიანებს და აძლევს საშუალებას, რომ მართონ სისტემა. რა თქმა უნდა, ეს აწყობს ხელისუფლებას. რაღაც ნაწილი თავისი მოსამართლეები სჭირდება, რაღაც ნაწილი დისკრედიტირებული მოსამართლეები სჭირდება, რათა კიდევ უფრო მეტად მორჩილი იყოს. ასე რომ ვთქვათ, კომბინირებულია ეს საკითხი და ყველა მხრივ ამით სარგებელს იღებს მხოლოდ ეს ჯგუფი და ხელისუფლების ნაწილი. დანარჩენი ყველა მოქალაქისთვის ფაქტიურად სასამართლო არ არსებობს. ხელისუფლებასთან შეთანხმებით ხდება ყველაფერი. მათთან შეთანხმების გარეშე სასამართლოში არაფერი ხდება და წყდება. ეს ჯგუფი არ არის მხოლოდ სასამართლოში მყოფი ჯგუფი, ამ ჯგუფის ნაწილი პარლამენტშიც არის, პროკურატურაშიც და კიდევ ბევრ სხვა უწყებაში და ერთიანი მოქმედებით აკეთებენ ყველაფერს.

– ანუ ერთი მთლიანი კლანია?

– დიახ, ერთი მთლიანი კლანია. 5-6 წლის წინ შეიძლება გვეთქვა, რომ მხოლოდ სასამართლოში არსებული კლანი, მაგრამ ახლა გაცილებით მეტი მასშტაბი აქვს ამ ყველაფერს. ასევე ერთობლივი მუშაობის შედეგსაც ვხედავთ სასამართლოს, პროკურატურასა და პარლამენტს შორის.

– თუკი არ გაითვალისწინეს არც დასავლელი პარტნიორების შენიშვნები თუ კეთილი რჩევები და არც საზოგადოებრივი აზრის ზეწოლას დაემორჩილნენ, ასე თუ გააგრძელეს უვადო მოსამართლეების დანიშვნა, ამით რა შედეგს მივიღებთ, სადამდე მიგვიყვანს ეს ყველაფერი?

– ძალიან ცუდი შედეგი იქნება. თუნდაც პირველ რიგში ქვეყნისთვის. არ სრულდება არც ერთი შეთანხმება, მათ შორის თუ არც შარლ მიშელის დოკუმენტი შესრულდა, ეს ცუდ შედეგებს მოგვიტანს. ცხადია, კლანი შეეცდება, რაც შეიძლება დიდი ხნით გაიმტკიცონ ის ძალაუფლება, რაც სასამართლო სისტემაში აქვთ. ამ შემთხვევაში ერთადერთი გზა იქნება ან პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილება, ან ისევ უცხოელი პარტნიორების დახმარებით, სანქციებით და სხვადასხვა შეზღუდვებით, თუნდაც იგივე იმ ფინანსების შეზღუდვებით, რასაც ჩვენი ქვეყანა იღებს. სხვაგვარად ამათი შეჩერება შეუძლებელია.

– ებღაუჭება ხელისუფლება სასამართლო სისტემას?

– ამ ხელისუფლებისთვის სასამართლო ძალიან მნიშვნელოვანი რგოლია. მათი მხრიდან ერთი კრიტიკული განცხადებაც კი არ გაკეთებულა. ისე გვაჩვენებენ თავს, რომ თითქოს ყველაფერი იდეალურად და კარგადაა, რაც სინამდვილეს არანაირად არ შეესაბამება. ამ სფეროს სპეციალისტების თითქმის 100%-მა, ეს ყველაფერი იცის. ამას არ აღიარებს მხოლოდ სასამართლო სისტემაში მომუშავე ამ ჯგუფის წევრები. ჩვენი დასავლელი პარტნიორების რეკომენდაციები ეფუძნებოდა იმას, რომ ყოველგვარი მტკივნეული და ქირურგიული ჩარევების გარეშე მომხდარიყო სასამართლო სისტემის გაჯანსაღება. თუმცა ხელისუფლება არ იზიარებს ამ საკითხებს.

– თუკი თავის ყველა კაპრიზი დაიკმაყოფილა „ოცნებამ“, ამ შემთხვევაში როგორ სასამართლოს ვღებულობთ? ან რამდენად დიდი დრო დასჭირდება შემდეგ სასამართლოს გაჯანსაღებას?

– ერთი ხელის მოსმით, რა თქმა უნდა, სასამართლოს ვერ გავაჯანსაღებთ, მაგრამ არსებობს მექანიზმები, რომლითაც ამის გასწორება შეიძლება. მთავარია, იყოს პოლიტიკური ნება.

– ანუ უვადოდ დანიშნული მოსამართლეების გაშვებაც შეიძლება?

– რა თქმა უნდა, შეიძლება. თუმცა ამ საკითხის დეტალურად შესწავლა უნდა მოხდეს. ზოგს დანაშაული აქვს ჩადენილი, ზოგს სხვადასხვა ტიპის დარღვევა. თუ კომპეტენტური პირების მიერ მოხდება ამ საკითხების შესწავლა და სწორი ფილტრაცია, ზოგი მოსამართლე შესაძლოა პასუხისმგებლობაშიც კი მიეცეს. ასე რომ, უვადოდ დანიშვნა ამას ვერ უშველის. ეს მათი დანაშაულის და დარღვევების გარანტია ვერ იქნება ვერანაირად. კიდევ სხვა ბევრი მექანიზმი არსებობს, რომლითაც სისტემის სწორად გამართვა შეიძლება. მხოლოდ უვადოდ დანიშვნა არ არის მათი გარანტია და ეს თვითონაც კარგად იციან. ეს არის უბრალოდ დანარჩენი წრეებისთვის ამ ეტაპზე სისტემის ჩაკეტვა, რომ სისტემაში არ მოხვდნენ სხვა ადამიანები და მხოლოდ მათ მიერ ხელდასხმული ადამიანები შევიდნენ ამ სისტემაში.

– მცირე პროცენტით მაინც არის დღეს სასამართლო დამოუკიდებელი თუ სრულიად მართულია?

– არ მინდა მოსამართლეებზე გამომივიდეს, რომ ყველა ასეა, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ხელისუფლებას და მასთან დაახლოებულ წრეებს რაიმე სურვილი და ინტერესი აქვთ სასამართლოში, პირადი იქნება თუ პოლიტიკური, ეს უპირობოდ კმაყოფილდება! არ მინდა სასამართლოზე ამ კონტექსტში რომ ვისაუბრო, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, ბევრი ცუდი ფაქტი მსმენია. დღეს რაც ხდება, რა პროცესებიც მიდის, ეს ნიშნავს იმას, რომ სასამართლო არა გვაქვს, უბრალოდ, ფიზიკურად არა გვაქვს.

– არის რაიმე ბერკეტი, რაც ამ პროცესს შეაჩერებს?

– ამ ეტაპზე, მხოლოდ უცხოელი პარტნიორების დახმარების იმედად უნდა ვიყოთ. ეს ხელისუფლება არ რეაგირებს სწორად დაყენებულ საკითხებზე. უფრო მკაცრი უნდა იყოს დასავლეთი. მხოლოდ მითითება და დოკუმენტის ყვითლად გახაზვა არ შველის „ოცნებას“. საჭიროა მკაცრი რეაგირება და სანქციები. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც უფრო მეტ ასეთ სისულელეს ჩაიდენენ სასამართლოში, მით უფრო მტკივნეული იქნება მომავალში ამ შეცდომების გასწორება.

ნინო ლომჯარია: „ცესკოს თავმჯდომარის პოსტზე კანდიდატურის წარდგენას არ ვაპირებ“

სახალხო დამცველის, ნინო ლომჯარიას განცხადებით, ის ცესკოს თავმჯდომარის პოსტზე მისი კანდიდატურის წარდგენას არ აპირებს.

როგორც ლომჯარია განმარტავს, მას მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აქვს აღებული.

– ნამდვილად არ ვაპირებ, კანდიდატი ვიყო, ძალიან მნიშვნელოვან პოზიციაზე ვარ და მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა მაქვს კიდევ მინიმუმ წელიწადნახევარი. თუმცა, მინდა მოვუწოდო და წავახალისო ყველა ის ადამიანი, ვინც შესაძლოა, იყოს დამოუკიდებელი აქტორი ამ პროცესში, რომ შეიტანოს განაცხადი. ვიცი, რომ ძალიან შემოკლებული ვადებია, პრაქტიკულად ორშაბათამდე უნდა დარეგისტრირდნენ კანდიდატები და ვფიქრობ, ეს ძალიან სერიოზული გამოწვევა, ბარიერია, რომ ადამიანებმა ასე მოკლე ვადებში მიიღონ გადაწყვეტილება ამ ძალიან მნიშვნელოვან პროცესში მონაწილეობის თაობაზე.

რაც შეეხება კომისიას, ჩვენ არ ვმონაწილეობთ, თუმცა, მათი დიდი ნაწილის ბიოგრაფია თუ წარსული ჩემთვის, სამწუხაროდ, უცნობია, განსაკუთრებით, აკადემიური წრეებიდან. იმედი მაქვს, რომ ერთსულოვანი იქნება კომისია თავის გადაწყვეტილებაში, უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია ამ კომისიას.

შემჭიდროვებული ვადები პოტენციურ კანდიდატებს საშუალებას გაურთულებს, რომ განაცხადი შეიტანონ და ვისურვებდი, აკადემიური წრის უფრო მრავალფეროვნი წარმომადგენლობა ყოფილიყო და თუნდაც, ერთი უნივერსიტეტის რამდენიმე კანდიდატი არ ყოფილიყო და უფრო ფართო სპექტრი ყოფილიყო აკადემიური წრეებიდან, უნივერსიტეტებიდან წარმოდგენილი.

რაც შეეხება იმას, როგორ წარიმართება შერჩევის პროცესი, ამას სადამკვირვებლო ორგანიზაციები უკეთ მოგვახსენებენ. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ საზოგადოება კიდევ ერთხელ არ გაწბილდეს და მართლაც, საუკეთესო და ყველაზე დამოუკიდებელი, ყველაზე პრინციპული კანდიდატები შეირჩნენ, – განაცხადა ნინო ლომჯარიამ.

მისივე განმარტებით, ცესკოს თავმჯდომარე სტრესულ სიტუაციაში მუშაობას უნდა უძლებდეს.

– ცესკოს თავმჯდომარეს ბევრი თვისება სჭირდება, ძალიან რთული პერიოდია, თუმცა, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, მას ჰქონდეს გამოცდილება, წარსული, გაუძლოს სტრესულ სიტუაციაში მუშაობას, ანუ მუშაობას, როცა მასზე ხორციელდება ზეწოლა ხელისუფლების თუ სხვა პოლიტიკური აქტორების მხრიდან. მისმა სამუშაო გამოცდილებამ უნდა დაადასტუროს, რომ ის ახერხებდა ნეიტრალურად, მიუკერძოებლად ემუშავა და გამკლავებოდა ამ სტრესულ ვითარებას, – აღნიშნა ნინო ლომჯარიამ.

„გირჩსა“ და „მოქალაქეებს“ დაკარგული საბიუჯეტო დაფინანსება 1 აგვისტოდან აღუდგება

იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებმაც 2020 წლის არჩევნების საფუძველზე მოპოვებული საბიუჯეტო დაფინანსება დაკარგეს, დაფინანსების მიღების უფლება 2021 წლის 1 აგვისტოდან აღუდგებათ.

ამასთან, ასეთ პარტიებს ყველა ის თანხა მიეცემათ, რომელსაც ისინი ბიუჯეტიდან მიიღებდნენ, დაფინანსების მიღების უფლება რომ არ დაეკარგათ. ეს პარტიებია „გირჩი“ და „ალეკო ელისაშვილი – მოქალაქეები“.

ამ მიმართულებით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანა კიდევ ერთხელ იგეგმება, რომელიც 6 ივლისის ბიუროს სხდომაზე იქნება ინიცირებული.

პარლამენტმა ივნისის ბოლოს მიიღო კანონი, რომლის თანახმად, პოლიტიკურ პარტიას, რომელმაც პარლამენტის 2020 წლის არჩევნების საფუძველზე მოპოვებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების უფლება დაკარგა, ეს უფლება 2022 წლის 1 თებერვლიდან აღუდგება. ამჯერად, აღნიშნული ვადის შეცვლა და მისი 2021 წლის 1 აგვისტოდან განსაზღვრა იგეგმება.

„გირჩის“ მიერ მოპოვებული ყოველწლიური საბიუჯეტო დაფინანსება 777.990 ლარს შეადგენს, ხოლო „ალეკო ელისაშვილი – მოქალაქეების“ მიერ მოპოვებული ყოველწლიური საბიუჯეტო დაფინანსება 497.406 ლარია.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტში მოსამართლეობის კანდიდატების გასაუბრება 6 ივლისს დაიწყება

პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენილი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების იურიდიულ საკითხთა კომიტეტში გასაუბრების პროცესი 6 ივლისს დაიწყება.

კომიტეტი დღეში 2 კანდიდატს გაესაუბრება.

პირველი ინტერვიუ დაიწყება 10:00 საათზე, ხოლო მეორე – 16:00 საათზე.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ანრი ოხანაშვილის თქმით, გასაუბრების პროცესში ყველა ოპოზიციურ ფრაქციას, პოლიტიკურ ჯგუფს და უფრაქციო დეპუტატებს მიეცემათ დრო კითხვების დასმისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მათმა უმრავლესობამ უარი განაცხადა პროცესში მონაწილეობაზე.

გასაუბრების პროცესში კითხვების დასმის შესაძლებლობა, ასევე ექნებათ არასაპარლამენტო სუბიექტებსაც.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ პარლამენტს 9 კანდიდატი წარუდგინა.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარმოდგენილი არიან: გოჩა აბუსერიძე, გიორგი გოგიაშვილი, ლევან თევზაძე, ქეთევან მესხიშვილი, გიორგი შავლიაშვილი, რევაზ ნადარაია, ბიძინა სტურუა, ეკა ზარნაძე და ლაშა ქოჩიაშვილი.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

თაკო ჩარკვიანი არჩევნებზე ნაციმოძრაობასთან ერთად შეიძლება გამოვიდეს

„ოპოზიციას ვეუბნები – ჯერ ნუ იყოფთ საბანს, თორემ უსაბნოდ დარჩებით! მიშას ეუბნებიან, შენ გაიწიე და პარტია გვათხოვეო“

იაგო ნაცვლიშვილი

რას ნიშნავდა თამარ ჟვანიას გადადგომა ცესკოს თავმჯდომარეობიდან? რა კავშირს ხედავს ამ თემასა და მოსამართლეების უზენაესში გამწესებასთან დაკავშირებით? რა ხდება ოპოზიციაში და ვისთან ერთად გამოვა არჩევნებზე? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარტიის „კანონი და სამართალი“ თავმჯდომარე თაკო ჩარკვიანი საუბრობს.

– თქვენთვის რას ნიშნავდა თამარ ჟვანიას გადადგომა მაშინ, როდესაც ამტკიცებდა, რომ არსად წასვლას არ აპირებდა და „ოცნებაში“ ოპოზიციას გეუბნებოდნენ, რომ ბოდიში გაქვთ მოსახდელიო და მოულოდნელად ჩამოკრა „უბედურების ზარმა“?

– თავისთავად იმ ფაქტში, რომ ჟვანია გადადგა, კარგის მეტი არაფერია, მაგრამ ჩნდება კითხვა, რატომ გადადგა მაინცდამაინც ახლა?! ამ დროს ხდება ძალიან მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა, მე ვიტყოდი, რომ საკვანძო საკითხია – ქართული სახელმწიფოსთვის გადამწყვეტია.

– მოსამართლეების თემას გულისხმობთ?

– დიახ, ეს არის მოსამართლეების დანიშვნის თემა, რომელიც პარალელურად წყდება და არ ჩერდება მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნისა.

– ამ ორ მოვლენას შორის კავშირს ხედავთ?

– აუცილებლად. არა თუ ვხედავ, არამედ უეჭველი კავშირია. იტყვიან, რომ აი, ბატონო, გავუშვი ჟვანია, რაც წერია შარლ მიშელის შეთანხმებაში და ნახეთ, როგორი წესიერი და პატიოსანი ვარო. სინამდვილეში მიიღებ ფიქტიურ ჟვანიას, რომელიც ასევე იქნება ჟვანია, ოღონდ სხვა სახელითა და გვარით და, სამაგიეროდ, მიიღებ უვადოდ გამწესებულ მოსამართლეთა კორპუსს, რაც წარმოუდგენელი კატასტროფაა. საქართველო ამიტომ ტრიალებს ერთ წრეზე 30 წელია. ჩვენ შევიტანეთ მაშინვე სარჩელი. სხვათა შორის, ეს პირველებმა გავაკეთეთ ორმა პარტიამ, ჩვენ – „კანონი და სამართალმა“ და „ლელომ“. კარგად მახსოვს, რომ ზუსტად მაშინ თქვენთანაც მქონდა ინტერვიუ. საოლქო სასამართლოებმა არ მიიღეს სარჩელი, აი ამ დონეზე იყო უგულებელყოფილი პროცესი. ახლა ისმის კითხვა – რისი გაკეთების საშუალება აქვს ოპოზიციას?! ვხედავთ, რომ „ოცნების“ მიერ შემოტანილი ყველა კანონპროექტი გადის. იმიტომ, რომ გვჯობნიან ხმებით.

– „ოცნება“ მიიჩნევს, რომ ჟვანიას გადაყენებით დასავლეთი თვალს დახუჭავს მოსამართლეების თემაზე?

– რა თქმა უნდა. უფრო სწორად, თვალს კი არ დახუჭავდა, არამედ ეტყოდნენ, რომ დასაწყისია და ვმუშაობთო. აბა, რომ მიმტკიცებ, არ გაყალბებულა არჩევნები და ამ დროს გადადგა საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი?! მე შესვლისთანავე ვუთხარი კობახიძეს, არ გეგონოს, რომ გაუყალბებელ პარლამენტში ვართ შემოსულები-მეთქი. ეს იყო პროცესი, რომელიც დასავლეთმა თხოვნით, მუქარით, ყველაფრით მოგვთხოვა. იმის გამო, რომ პარლამენტი აღარ იყოს ერთპარტიული, იმიტომ შევედი. მუდმივად იყო საუბრები, რომ რას აიჩემეთ, ხომ შევიდნენ და თქვენც უნდა შეხვიდეთო. საბოტაჟშიც კი გვდებდნენ ბრალს, არადა იმიტომ ვარ პოლიტიკაში, რომ ოღონდ რამე გამოსწორდეს.

კი, ჩვენი შესვლით აქვთ დისკომფორტი. იგივე დასავლეთი გვიყურებს და ხედავს, რომ კორუფციული სქემები ამოგვაქვს და ეთერებში ვლაპარაკობთ ამაზე... ობიექტურად მინდა ვთქვა ეს. მაგრამ ფინალში რომ მიდიხარ – კენჭისყრამდე, იქ ვერაფერსაც ვერ აღწევ. ერთადერთი, რისი იმედიც მაქვს, რომ შეიძლება რაღაც გამოგვივიდეს, ეს არის ანტიკორუფციული საგამოძიებო კომისიის შექმნა.

იმ დღეს გამოვიდა გახარია და მე დავაყენებ ამ საკითხსო, სხვები არაო. რა თქმა უნდა, ასე უნდა, თავის საქმეებს ხომ არ გამოიძიებს?! დიდი ბოდიში, მაგრამ კორუფციული სქემები მის დროსაც არის. ჩვენ ყველაფრის გამოძიებას ვაპირებთ, მათ შორის, ნამახვანზე ხელის მოწერასაც. ხელებს ვერ შეახოცავს „ოცნებას“, მისი საქმიანობაც გამოსაძიებელია. 20 ივნისის მერე დაწინაურებული პრემიერია. ყველამ თავის წილზე უნდა აგოს პასუხი.

– კი, მაგრამ, „ოცნებაში“ გვეუბნებიან, ნაციონალიაო.

– ეს ძალიან სასაცილოდ ჟღერს. მეტსაც გეტყვით. ალბათ ნახავდით პარლამენტში ლევან ხაბეიშვილის გამოსვლას და ნახავთ, რა დოზით უპირისპირდება გახარია მას და ადვილად გამოიცნობთ, ვინ ნაციონალია და ვინ – არა. პირდაპირ გეუბნებით, ერთ ხმას ვერ წაიღებს ოპოზიციიდან, გამორიცხული ამბავია ეს.

– ვისმენთ გიორგი ვაშაძის განცხადებებს, რომ არანაირ თანამშრომლობას არ აპირებს საერთო კანდიდატებთან დაკავშირებით ნაციმოძრაობასთან, სხვები კოორდინაციაზე საუბრობთ. რა ხდება?

– ეგ კითხვები გიორგისთან არის დასასმელი, მე ვერაფერს გეტყვით.

ჩემი აზრი ასეთია, რომ მე ვაკვირდები ამ პროცესს და შეურაცხყოფად არავინ მიიღოს, მაგრამ ჩანს, რომ განსაკუთრებული კომპლექსები აქვთ მიშას მიმართ. ეუბნებიან, რომ, ბატონო მიშა, შემოგვხედეთ და არ ვართ ნაციონალებიო. ამას აკეთებენ, რათა „შუას“ ხმები წაიღონ. მთელი ყურადღება 3%-იან პარტიებს აქვთკენ აქვთ მიმართული და განსაკუთრებით გამოირჩევიან ის ადამიანები, ვინც საკმაოდ დიდხანს იყვნენ სააკაშვილის გარემოცვა თუ თანამდებობის პირი მის დროს. თითქოს, რაღაცა კომპლექსები აქვთ. მე კი ვეუბნები მათ, რომ საბანს ჯერ ნუ იყოფთ, საერთოდ უსაბნოდ დარჩებით-მეთქი. ახლა დასავლური ვექტორის გაერთიანების დროა. ხალხო, მსოფლიოში ვერავინ ებრძვის ოლიგარქიას. რაღაცა ფაქიზი ნაბიჯებით არ ხდება ამის გადაჭრა. მიტაცებულია სახელმწიფო.

„ჟვანიას გადადგომასა და მოსამართლეების გამწესებას შორის უეჭველი კავშირია“

კაცმა, პრემიერმა მიპასუხა პარლამენტში, რომ 2% კი არა, 3% ავცერიო. მას ვუთხარი, ერთი მიზეზია საკმარისი, რომ თანამდებობიდან წახვიდეთ, ხალხი ვერ აცერით, მხოლოდ 2% აცერითმეთქი და 2% კი არა, 3% ავცერითო. ქვეყანა პირველ ადგილზე გავიდა სიკვდილიანობით და კოვიდის სტატისტიკით ერთ მილიონ სულ მოსახლეობაზე და ამ დროს გვეუბნებიან, კარგად ვმართეთ პანდემიაო.

ამ დროს რა დროს ეგაა, რომ ამასთან არ ვითანამშრომლებ და იმასთანო. ისედაც რა ხდება ქვეყანაში?! იმას ხომ არ ვამბობ, რომ იმ პარტიის ფრთის ქვეშ იყავი-მეთქი, მაგრამ კოორდინირება უნდა მოხდეს ოპოზიციაში! რომელიმე 3%-იან პარტიას აქვს იმის რესურსი და ძალა, რომ უმრავლესობაში მოვიდეს?! სასაცილო ხომ არის ეს?!

– თქვენი პარტია ცალკე სუბიექტად გამოვა არჩევნებზე თუ ბლოკს უნდა ველოდოთ ვინმესთან?

– მიდის საუბარი და აუცილებლად ვითანამშრომლებთ დასავლური ვექტორი ერთმანეთთან. ნაციონალურ მოძრაობასთან ურთიერთობის არავითარი კომპლექსი არ გამაჩნია მარტივი მიზეზის გამო – მათ დროს არარეფორმირებული სამართლებრივი სისტემის გამო ვიყავი ოპოზიციაში და ზუსტად იმას ვაპროტესტებდი, რამაც ეს წარმატებული პარტია ქვეშ მოიყოლა. წარმატებული პარტია იყო ნაციონალური მოძრაობა, აბა რა იყო?! მან სახელმწიფო ინსტიტუციები ააშენა, ჩაბნელებული საქართველო გაანათა, მაგრამ ქვეშ მოიყოლა ზუსტად არგაკეთებულმა სამართლებრივმა რეფორმამ.

– შესაძლოა, რომ ნაციონალური მოძრაობის ბლოკში გიხილოთ?

– ვნახოთ, ახლა მიმდინარეობს საუბარი და ვნახოთ, რა და როგორ იქნება. გახსოვთ თქვენ, რომ მე ვიყავი „ძალა ერთობაშია“-ს წევრი. ვეხვეწებოდი ყველას, რომ ნუ ქმნით ახალ ფორმატს, ეს დაშლის „ძალა ერთობაშიას“-მეთქი. ავდექი და ეს ვთქვი შალვა ნათელაშვილთან, განა შალვას კი არ ვებრძოდი, რა სისულელეა. უბრალოდ ვამბობდი, რომ შექმნილია „ძალა ერთობაშია“ და ამის გარშემო გავაკეთოთ-მეთქი. იმიტომ, რომ უკვე წარმატებული პროექტი იყო. საპრეზიდენტო არჩევნებში მან მოიტანა მეორე ტური. ახლად შექმნილში კი დაიწყება გაწევგამოწევა და ბევრი ფსევდოოპოზიცია შემოვამეთქი. „ძალა ერთობაშია“-დან თუ ვინმე გაიწეოდა, ის უკვე მაინც დიდი იყო და ის რჩებოდა თავის ადგილას.

მაშინ თავი მოიკლეს მიშას შიშებით და მის მიმართ კომპლექსებით და შეიქმნა ახალი ფორმატი. რამდენი ფსევდოა, მე მგონი, თქმა არ გჭირდებათ. 2 წლის წინ იყვნენ „ძალა ერთობაშია“ და დღეს ნაციონალურ მოძრაობას ემიჯნებიან. ვიხუმრე, რომ სააკაშვილს ეუბნებიან, რომ შენ გაიწიე და შენი პარტია გვათხოვეო, მაგრამ არ გამოდის ასე. ის პარტია არის ის, ვისაც ჰყავს მილიონამდე ამომრჩეველი და იმ ამომრჩეველს არ უნდიხარ შენ, ვიღაცა რომ ხარ ლიდერი. ზოგადად ვამბობ, ვინმე კონკრეტულს კი არ ვგულისხმობ. იმ ამომრჩეველს შენ რომ უნდოდე, შენ მოგცემდა ხმას და არ გექნებოდა 3%. ამომრჩეველს უნდა გაუწიო ანგარიში და ნუ ეჭიმები მას.

ვხედავ იმას, რომ თუ არ მოხდა კოორდინირება და გაერთიანება, მაშინ ვერ მოერევი ოლიგარქს, გამორიცხულია.

„ნიკა მელიას თბილისის მერობის კანდიდატად განვიხილავთ“

მურმან დუმბაძე: „ქართული ოცნებიდან“ გახარიასთან წასული ადამიანების 95% ბიძინა ივანიშვილის ხალხია“

ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა — ძალა ერთობაშია“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, რამდენად შესაძლებელია ადგილობრივ არჩევნებზე ოპოზიციის ერთიანობა? ამას გეკითხებით გიორგი ვაშაძის განცხადებიდან გამომდინარე, ის აცხადებს, რომ მისი პარტიის გადაწყვეტილება უახლოეს დღეებში იქნება ცნობილი.

– ამ ქვეყნის პოლიტიკის ისტორია ერთს ადასტურებს, პოლიტიკური ამბიციები კი მეორეა. ამ ქვეყანაში ყველა ხელისუფლება 90-იანი წლებიდან მოყოლებული კოალიციამ დაამარცხა. კოალიციის გარეშე ვერც ერთი ხელისუფლება ვერ დავამარცხეთ შევარდნაძიდან მოყოლებული, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის ჩათვლით, როდესაც პირველი ტური „ქართულ ოცნებას“ სწორედ კოალიციამ გამოგლიჯა ხელიდან. გახსოვთ, ერთი მილიონი ხმა მიიღო ოპოზიციამ. როგორც კი კოალიციაში ბზარი ჩნდება, ამით ხელისუფლება ხეირობს.

ამჯერადაც თუ დიდი შეთანხმება არ მოხდება თბილისის, ქუთაისის, თელავის, ზუგდიდის დიდი ქალაქების მერობის კანდიდატებზე, არაფერი გამოვა. თუ ამის მიღმა გავა ვინმე, ის ძალიან ცუდ ვითარებაში მოყვება.

– როგორც ჩანს, ვაშაძე არ აპირებს ერთიანობის დაცვას.

– მაშინ მისი პროცენტული მაჩვენებელი 3-დან 4-მდე იქნება. ნებისმიერი პარტია, რომელიც ასეთ დროს ერთიანი კოალიციის წინააღმდეგ წავა, ბორბლებში მოყვება, ეს არის ისტორიის კანონზომიერება. ამიტომ, ჩვენ უნდა დავსხდეთ და მოვილაპარაკოთ.



– გვიან ხომ არ არის?

– არა. შიდა კონსულტაციები, ერთგვარი მონახაზები უკვე არის, არა იმ დონეზე, რომ ჯერ გასაჯაროვდეს, მაგრამ შიდა საუბრები არის.

– თბილისის მერობის კანდიდატზე არის საუბარი?

– დიახ, ბუნებრივია, ყველას საკუთარი ვერსია აქვს. თუმცა, ამით იმის თქმა არ მინდა, რომ უკვე გადაწყვეტილება მიღებულია და ბეჭედასმულია.

– ნიკა მელია განიხილება?

– ნიკა მელია დედაქალაქში უნდა განვიხილოთ მერობის კანდიდატად. ამ მიმართულებით დიდ მზაობას არ გამოხატავს, მაგრამ მისი კანდიდატურა უნდა განვიხილოთ. ნიკა მელიამ ყველაზე მაღალი შედეგი დადო საპარლამენტო არჩევნებზე და ეს მან დადო არა მხოლოდ გლდანში, დარწმუნებული ვარ, ზუგდიდშიც რომ ყოფილიყო კანდიდატი, იგივე შედეგი ექნებოდა.

თუ პატარა პარტიები ან პერსონები იტყვიან, კოალიცია არ არის საჭირო, ერთიანი კანდიდატურა არ არის საჭირო, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ალიანსი არ არის საჭირო და ა.შ., მათ ჩემი გამოცდილებიდან ვეტყვი, რომ ისინი ძალიან ცდებიან. „ნაციონალური მოძრაობა“ კი არ მიყვარს, თუ სიყვარულია დედა მიყვარს, აქ საუბარია როგორ ჯობია. მე ვაფასებ მინიმუმ იმ ექვსასი ათას ამომრჩეველს, რომელიც ხმას „ნაციონალურ მოძრაობას“ აძლევს.

– ამ არჩევნებზე გახარიას როლი რა იქნება? დაახლოებით რამდენ პროცენტს აიღებს თქვენი ვარაუდით?

– გეტყვით, მე რას ვფიქრობ და როგორი მოლოდინი მაქვს: მე ვარ „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი. მე ამ პარტიას შიგნიდან ვიცნობ. გარედან, შორიდან დამკვირვებელი კი არ ვსაუბრობ. ყველა დეტალი ვიცი, შიგნით რა და როგორ ხდებოდა. დღეს „ქართული ოცნებიდან“ გახარიასთან წასული ადამიანების 95% ბიძინა ივანიშვილის ხალხია. მე ვერავინ დამაჯერებს, რომ საბანაძეს იმხელა გაბედულება აქვს, რომ ის ბიძინა ივანიშვილს დაუპირისპირდეს. ეს უბრალოდ გამორიცხულია. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ ვერ წავლენ. თუმცა, ამით იმას არ ვამბობ, რომ ყველას ბიძინა ივანიშვილმა დაავალა ასე მოიქცეს – რა თქმა უნდა, არა, აქ საუბარია ინტერესების დამთხვევაზე. ეს ყველაფერი ივანიშვილის ინტერესში შედის.

– რატომ?

– იმ შემთხვევაში, თუ იქნება ვადამდელი არჩევნები და აუცილებლად იქნება, მაშინ გახარიასნაირი პოლიტიკური პარტიები „ქართული ოცნებისთვის“, უბრალოდ, მალამო იქნება.

– კოალიციაზე საუბრობთ?

– დიახ, სამომავლო კოალიციაზე, რომელზეც უკვე ფიქრობს ივანიშვილი.

– ამ სიტუაციაში კი გახარია იქნება შესანიშნავი მაშველი რგოლი?

– რასაკვირველია. ხელისუფლება უკვე დაკარგული აქვს ივანიშვილს და ამის ერთ-ერთი ნიშანი ჟვანიას გადადგომაცაა, რაც არის საერთაშორისო პარტნიორების, შიდა ოპოზიციის ზეწოლის შედეგი.

– გამოდის, ამ კონფიგურაციით ვადამდელი არჩევნები ივანიშვილს უფრო აწყობს თუ ოპოზიცია თამაშგარე მდგომარეობაში უნდა დარჩეს.

– დიახ, დიახ. ეს არის ჩანაფიქრი, როგორ შეინარჩუნოს ხელისუფლება მომავალშიც. ამიტომ ვამბობ, ოპოზიციის ამოცანა უნდა იყოს, გაერთიანებული ძალებით დავუპირისპირდეთ ამ ჩანაფიქრს და ჩვენ მოვიდეთ კოალიციით ხელისუფლებაში.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„კობახიძეს და მის ექვს-შვიდ თანაგუნდელს ხელში უჭირავთ ასანთი“

გოჩა თევდორაძე: „ეკლესიასა და პატრიარქზე თავდასხმებს ვუპირისპირდებით“

მარიამ მჭედლიშვილი

თბილისში ლგბტ-აქცია სახელწოდებით „ღირსების მარში“ და მისი კონტრაქცია 5 ივლისს იგეგმება. 4 ივლისს ოპერისა და ბალეტის თეატრთან „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ გამართა შეკრება ეკლესიის მხარდასაჭერად და სახალხო დამცველის წინააღმდეგ. „ახალი თაობა“ პატრიოტთა ალიანსის აღმასრულებელ მდივან გოჩა თევდორაძეს ესაუბრა,

– ზოგმა ადამიანმა ვერ გაიგო, რატომ მართავთ აქციას ცალკე და არ უერთდებით სხვებს 5 ივლისს?

– ჩვენ, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ ყოველთვის დამოუკიდებლად ვმოქმედებთ. ასეა არჩევნების დროს, ხმების დაცვისას და აქციებისას. კონტრაქციები და პარალელური აქციები არ გვჩვევია. 4 ივლისის აქცია ადრევე დავაანონსეთ. მისი მთავარი მიზანია ეკლესიის, საპატრიარქოს, კათოლიკოს-პატრიარქისადმი მხარდაჭერისა და ნდობის გამოხატვა. ბუნებრივია, ჩვენ უნდობლობას ვუცხადებთ იმათ, ვინც მიზანმიმართულად ებრძვის ეკლესიას. მათ შორისაა ქვეყნის სახალხო დამცველი. შეკრებაზე სხვა ქვეყნისათვის საჭირბოროტო საკითხებსაც წამოვწევთ.

– საპატრიარქო წერილობით გამოეხმაურა 5 ივლისის „ღირსების მარშს“ და აღნიშნა, რომ პრაიდის მიზანია გაუკუღმართებული ცხოვრების წესის პროპაგანდა. ავტორების აზრით, ეს იწვევს დაძაბულობას და არეულობას. განვითარებულ მოვლენებზე საპატრიარქო პასუხისმგებლობას აკისრებს პრაიდის ორგანიზატორებსა და მხარდამჭერებს. ამ წერილს უარყოფითი გამოხმაურებებიც მოჰყვა.

– საპატრიარქოს პოზიცია რომ ფსევდოლიბერალებს გააღიზიანებდა, ეს ცხადია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მართლმადიდებელ ეკლესიას გააფთრებით ებრძვიან, მისი რეიტინგი ისევ მაღალია. რასაკვირველია, ეკლესიას ზიანი მიაყენეს, მაგრამ ვერ დაანგრიეს და ვერც დაანგრევენ. გავიხსენოთ, რა ხდებოდა ნინოწმინდის პანსიონში, რომელიც საპატრიარქოს დაქვემდებარებაშია. რა არ დააბრალეს, რა ცილი არ დასწამეს! სახალხო დამცველი ლაპარაკობდა საავარაუდო გაუპატიურებაზე. გაუპატიურება ან არის, ან არა! ამ დანაშაულს არ ადასტურებს ექსპერტიზა. არავინ არაფერს არ ადასტურებს, მაგრამ ეკლესიას ტალახს ესროდნენ და ჩირქს სცხებდნენ. ნინო ლომჯარია იმასაც ამბობდა, რომ პანსიონი არ უშვებენ.

– ასეთი რამ მართლაც იყო.

– 2017, 2018, 2019 წლებში ხომ უშვებდნენ! მერე კოვიდ-19 გაჩნდა და ვერ შედიოდა. შემდეგ ისე გამაღიზიანებლად იქცეოდა, რომ არ შეეშვათ. ლომჯარიას გამაღიზიანებელი მოქმედებები დესტრუქციის მომასწავებელი იყო. დესტრუქციის თავიდან ასაცილებლად მის მიღებას ერიდებოდნენ. 4 წლის წინ ვითომ მომხდარ სავარაუდო გაუპატიურებაზე რომ ამბავი ატეხა, ხომ შეეძლო, აქამდე გამოეკვლია. არ გამოიკვლია. ან უბრალოდ, ცილისწამების ხერხს მიმართა. ბოლოს გაირკვა, რომ სახელმწიფოს ჰქონია აღებული ვალდებულება ბავშვთა სახლებზე.

– რა ვალდებულება?

– ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით, დიდი ბავშვთა სახლები, პანსიონები უნდა გაუქმდეს და კონტინგენტი უნდა გადანაწილდეს სახლის ტიპის დაწესებულებებში.

– ეს ტენდენცია დიდი ხნის წინ დაიწყო. დიდი ბავშვთა სახლები დაიხურა.

– ჰოდა, მისდგნენ ნინოწმინდის პანსიონს, მოახდინეს მისი დემონიზაცია. გაუპატიურების ფაქტი ტყუილი გამოდგა. ნინოწმინდის პანსიონზე უსინდისო ცილისწამება იკადრეს. ეს საკითხი გამოიყენეს ეკლესიის წინააღმდეგ მიმდინარე ბინძურ კამპანიაში. ეთქვათ, რომ ვალდებულება ჰქონდათ აღებული. ასე აჯობებდა. ეკლესიასთან ბრძოლის პარალელურად, მოიშალა ეკონომიკა, განათლების სისტემა, ხალხი უარესად გაღარიბდა. ჯანდაცვის სისტემა ჩამოქცეულია. ეს ჩემს თავზე გამოვცადე.

– იმუნიზაციის პრობლემა თქვენც შეგექმნათ?

– დიახ. გავიკეთე ასტრაზენეკას პირველი დოზა. მორიგი აცრა 25 ივნისს მიწევდა. მოგეხსენებათ, რა დაემართა ამ წამლის გარკვეულ რაოდენობას. ხალხი აუცრელი დარჩა. დააანონსეს საყოველთაო ვაქცინაცია. აქაც დაბრკოლებაა. გამოაცხადეს, რომ საიტზე კიბერშეტევა განხორციელდა. კიბერშეტევები ბევრ ობიექტზე ხდება, მაგრამ ჯანდაცვის ამ ნაწილში? ამას მოსისხლე მტერიც არ გააკეთებს. იმდენი პრობლემა გროვდება, რომ ვდგავართ სახელმწიფოებრიობის ჩამოშლის წინაშე. ცალკე საკითხია ანგარიშსწორება პოლიტიკურ ოპონენტებთან.

– რას გულისხმობთ? ახალი საარჩევნო კანონით გათვალისწინებულ აკრძალვებს?

– ჩვენი პარტია დასაჯეს. ახალი ცვლილებებით, წაგვართვეს კანონიერი უფლებები. 2020 წლის არჩევნებზე გადავლახეთ საარჩევნო ბარიერი. გაყალბებული მონაცემებითაც კი გადალახული გვაქვს საარჩევნო ბარიერი. ამის მიუხედავად, ჩამოგვართვეს საარჩევნო კომისიებში წევრების ყოლის უფლება. ეს უფლება უსამართლოდ გადაულოცეს 2021 წელს შექმნილ პარტიას. ეს გაგვიკეთა ირაკლი კობახიძემ. კობახიძეს და მის ექვს-შვიდ თანაგუნდელს ხელში უჭირავთ ასანთი და ქმნიან საფრთხეს. მათ ქვეყანა და ხალხი ფეხებზე ჰკიდიათ.

– გჯერათ, რომ ბიძინა ივანიშვილი ნამდვილად წავიდა პოლიტიკიდან და ქვეყანა კობახიძეს დაუტოვა?

– არა. ასანთი ხელში კობახიძეს და მის გუნდელებს ივანიშვილმა დააჭერინა. ბიძინა ივანიშვილი არ წასულა. ის ერევა იმ საკითხებში, რომლებიც თვითონ აინტერესებს და სჭირდება.

– 5 ივლისს რას მოელით?

– კონტრაქციაზე ისედაც იკრიბებოდა ბევრი ხალხი. საპატრიარქოს განცხადების შემდეგ უფრო მეტი გამოვა. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი, 4 ივლისის აქციის მონაწილეებიდან უამრავი 5 ივლისსაც გამოვა. ვემიჯნებით ყოველგვარ ძალადობას ყველა აქციაზე. სექსუალური უმცირესობები ყოველთვის არსებობდნენ. მათი დარბევა არ შეიძლება. არ შეიძლება აგრეთვე მათი პრეტენზიების ზრდა. ათი-თხუთმეტი წლის წინ ლგბტ-წევრების ლოზუნგი იყო „ნუ გვდევნი“. მათ არც დევნიდნენ. ახლა სხვა პრეტენზიები გაუჩნდათ. პრემიერ-მინისტრს პარლამენტში მოუწოდეს, ჩვენთან პრაიდის მარშზე გამოდიო. ჩვენგან მოითხოვენ, რომ მათთან ვიყოთ და მათ ტაში დავუკრათ. ეკლესიასთან ომი და ასეთი ტენდენციები თუ გაგრძელდა, საფრთხეში დადგება სახელმწიფოს არსებობა.

„მიუღებელია საელჩოთა და ევროპარლამენტარების მკვეთრი ჩარევა ჩვენს სულიერ ცხოვრებაში“

საპატრიარქო პრაიდის კვირეულის შესახებ

საქართველოს საპატრიარქო პრაიდის კვირეულთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს და მრევლს პრაიდის გასაპროტესტებლად შეკრებისკენ მოუწოდებს.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეკლესიისთვის მიუღებელია უცხოელი დიპლომატების მხარდამჭერი განცხადებები პრაიდის მიმართ.

„იმედი გვქონდა, რომ ისინი ჩვენი საზოგადოების უდიდესი უმრავლესობის არჩევანს არ უგულებელყოფდნენ, მაგრამ ბოლო დღეების მოვლენებმა ნათლად აჩვენა, თუ რა ზეწოლაც ხორციელდება ქვეყანაში.

ჩვენი ეკლესიისთვის და ჩვენი მოქალაქეებისთვის შემაშფოთებელი და მიუღებელია გარკვეულ საელჩოთა და ევროპარლამენტარების ნაწილის მკვეთრი ჩარევა ჩვენს საზოგადოებრივ და სულიერ ცხოვრებაში და ვთვლით, რომ ეს მათი უფლებამოსილების გადამეტებაა.

ამასთან, კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ ე.წ. „პრაიდის“ მიზანი არის გაუკუღმართებული ცხოვრების წესის პროპაგანდა, რომელიც აზიანებს მომავალი თაობის ცნობიერებას; ეს ქმედება ჩვენს ხალხში, განურჩევლად ეროვნებისა და რელიგიური კუთვნილებისა, დაძაბულობასა და არეულობას იწვევს.

ყოველივე ამაზე კი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნული აქტივობების ორგანიზატორებსა და მხარდამჭერთ.

მივმართავთ მოსახლეობას, მშვიდობიანად დავაფიქსიროთ ჩვენი პროტესტი და არ ავყვეთ ძალადობრივი კონფრონტაციისათვის მიზანმიმართულ პროვოკაციას.

ამა წლის 5 ივლისს, 17 საათზე, შევიკრიბოთ ქაშუეთის წმინდა გიორგის ტაძართან, აღვავლინოთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პარაკლისი და მსოფლიოს ვაჩვენოთ, რომ ჩვენ ჩვენს ღირსებას ვიცავთ და გადაგვარების თავსმოხვეული მცდელობა ჩვენთვის მიუღებელია“ – აღნიშნულია განცხადებაში.

„400 მეტრის სიღრმეზე ვმუშაობ და 640 ლარს ვიღებ“

ტყიბულელი მეშახტეების გაფიცვა გრძელდება

ტყიბულელი მეშახტეების გაფიცვა გრძელდება. პარალიზებულია მინდელის შახტი.

ისინი ფიქსირებული ხელფასის 300 ლარით გაზრდას მოითხოვენ და ამბობენ, რომ ბონუსის სისტემა, რასაც მათ საქნახშირი სთავაზობს, არაეფექტურია, ვინაიდან ნამატი ძალიან ცოტაა – 30-40 ლარი. მათი ანაზღაურება კი 580-დან 640 ლარამდე მერყეობს.

მეშახტეების და კომპანიის მოლაპარაკებები კი უშედეგოდ დასრულდა.

მათი თქმით, შეხვედრისას საქნახშირის ხელმძღვანელობამ მათ კვლავ ბონუსური სისტემა შესთავაზა, რაც მიუღებელი და უსამართლოა.

– ჩვენ არავის ვეჩხუბებით და არავის ვერჩით. მხოლოდ ის გვინდა, ჩვენი შრომა დაფასდეს. ბონუსით ვერაფერს ვაკეთებთ. 30 ლარი ბონუსად არ ითვლება. ვთხოვთ ჩვენს მაჟორიტარს, ქალაქის გამგებელს, დაგვიდგნენ გვერდით, – ამბობს ერთ-ერთი მეშახტე.

– 640 ლარი მაქვს ხელფასი და 400 მეტრზე ჩავდივარ მიწაში. ოჯახები გვყავს სარჩენი. რა ვქნათ, – ამბობს სხვა.

„ქორწილში რომ დამპატიჟონ, გორში აღარ ჩამოვალ“

გრიშა ონიანი ძალიან გააბრაზეს



გრიშა ონიანი გორელებს გაუნაწყენდა. საზოგადოება „სტალინელის“ თავმჯდომარე გორის თეატრში 3 ივლისს სტალინელების ხალხმრავალ შეკრებას ელოდა, თუმცა მასთან შეხვედრას მხოლოდ რამდენიმე ადამიანი დაესწრო.

გრიშა ონიანის თქმით, მას არათუ გორის მერობა აღარ უნდა, არამედ გორში ქორწილშიც კი აღარ ჩავა:

– ქორწილში რომ დამპატიჟონ, გორში აღარ ჩამოვალ, – განაცხადა გრიშა ონიანმა.

განაწყენებულმა გრიშა ონიანმა გეგმები შეცვალა და შეხვედრის მიზანზე დაწვრილებით აღარ ისაუბრა, თუმცა განაცხადა, რომ ის სტალინის ნეშტის საქართველოში გადმოსვენებაზე ისევ ფიქრობს.

თენგიზ ცერცვაძე: „ვაქცინაცია შემთხვევებს ამცირებს და სიკვდილობის პანდემიას აჩერებს“

– მინდა ყველას მოვუწოდო ვაქცინაციისკენ – ვაქცინაცია სიკვდილობის პანდემიას აჩერებს. შემთხვევების რაოდენობას ვერ აჩერებს, მაგრამ ანახევრებს ან ამესამედებს.

ამის შესახებ ინფექციური საავადმყოფოს გენერალურმა დირექტორმა, თენგიზ ცერცვაძემ ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „პოლიტ-ქალაქი“ განაცხადა.

მისი თქმით, თუ ქვეყანაში ე.წ. ინდური შტამის ცირკულირება გაიზრდება, შესაძლოა, საქართველოში მსხვერპლიც გაიზარდოს. ამიტომ, თენგიზ ცერცვაძე მოსახლეობას პირბადის გამოყენებისა და რეკომენდაციების დაცვისკენ მოუწოდებს.

– თუ ვაქცინაზე ეჭვებია, რომ ის „ინდური შტამისგან“ ნაკლებად იცავს, ეს ეჭვები ხშირად გამართლებულია, თუმცა, პირბადე ერთნაირად იცავს ყველა შტამისგან. ამიტომ, პირბადე თავის დაცვის უნივერსალური საშუალება“ – განაცხადა ცერცვაძემ.

მისი შეფასებით, „მესამე ტალღის“ დროს ქვეყანაში სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი იმითაც არის განპირობებული, რომ „ბრიტანულ შტამთან“ ერთად, ე.წ. ინდური შტამიც ცირკულირებს.

– სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, მესამე ტალღის პერიოდში, მეორე ტალღასთან შედარებით, სიკვდილიანობის შედარებით მაღალი მაჩვენებლები მილიონ მოსახლეზე გადაანგარიშებით გამოწვეულია იმით, რომ ჯერ ბრიტანულმა, ხოლო შემდეგ ინდურმა შტამმა, გაცილებით მეტი მძიმე შემთხვევა და მეტი სიკვდილობა მოგვცა, – განაცხადა ცერცვაძემ.

იმუნიზაციის ცენტრები მოლებშიც მოეწყობა

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის, თამარ გაბუნიას განცხადებით, ვაქცინაციის პროცესში 350 ბრიგადა ჩაერთვება.

ამასთან, მისი განცხადებით, იმუნიზაციის ცენტრები მოეწყობა არა მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებებში, არამედ სავაჭრო ცენტრებშიც.

– მიმდინარეობს მზადება. მოსამზადებელი სამუშაოები დაწყებულია ლილოსა და სითი მოლში. ჰუალინგის ცენტრში უკვე მოქმედებს ვაქცინაციის პროგრამა.

დღეისთვის მობილიზებულია 300-მდე ბრიგადა, ამ კვირაში დაემატება 50 ბრიგადა. 350 ბრიგადა სრულად ჩაერთვება ვაქცინაციის პროცესში. თითოეულ ბრიგადას დღის განმავლობაში, სულ მცირე, შეუძლია 60 მოქალაქის აცრა, რაც დღის განმავლობაში საკმაოდ მაღალი რაოდენობაა. სამედიცინო დაწესებულების მიღმა, მოლებში ასევე მიმდინარეობს მზადება. ეს ყველაფერი დამოკიდებული იქნება უკვე მიმდინარე პერიოდში მოთხოვნაზე და იმაზე, თუ რამდენად დაგვჭირდება დამატება, – თქვა თამარ გაბუნიამ.

„შემეშინდა და კაბა გავიხადე, სახესა და ტუჩის მიდამოში მკბენდა“

შშმ ქალი გურჯაანში მეზობელს გაუპატიურების მცდელობას აბრალებს

გურჯაანში 41 წლის კაცს 33 წლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალი გაუპატიურების მცდელობაში ადანაშაულებს.

დაზარალებული ამბობს, რომ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი კარის მეზობელი მის სახლში შეიჭრა და ადგილიდან ძალის გამოყენებით წაიყვანა.

ქალი აღნიშნავს, რომ მოძალადე მეზობელი ემუქრებოდა და ტანსაცმლის გახდას აიძულებდა. პოლიციამ 41 წლის კაცს ბორკილები მაშინ დაადო, როცა ქალი ჯერ კიდევ მის საცხოვრებელ სახლში იმყოფებოდა.

– ძალით წამიყვანა, მეუბნებოდა, თუ იმას არ გააკეთებ, რაც მინდა, შენ და დედაშენს მოგკლავთო. შემეშინდა და მე თვითონ გავიხადე ტანსაცმელი. სახესა და ტუჩის მიდამოში მკბენდა, – ამბობს დაზარალებული ტელეკომპანია „გურჯაანთან“.

ქალს დაზიანებები სახის არეში აღენიშნება, მას ექსპერტიზა უკვე ჩაუტარდა.

სავარაუდო მოძალადე დაზარალებულის დედის გამოძახების საფუძველზე დააკავეს.

– წინააღმდეგობა გავუწიე, თუმცა, მამაკაცს როგორ დავიმორჩილებდი?! ჩემი შვილი შშმ პირია, მინდა, მოძალადე კანონის წინაშე დაისაჯოს, – აცხადებს ტელეკომპანია „გურჯაანთან“ დაშავებულის დედა.

დაზარალებულის ინტერესებს იურისტი ლია ხუროშვილი იცავს. სავარაუდო მოძალადის ახლობლები დაშავებულს საჩივრის გამოტანას და საპროცესო შეთანხმებაზე დათანხმებას სთხოვენ.

– ბრალდებულისთვის ცნობილი იყო, რომ ქალი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. ეს არის წინასწარი შეცნობით ჩადენილი დანაშაული, რადგან შშმ პირთან ჩადენილი ამდაგვარი ქმედება დანაშაულის სიმძიმეს უფრო ამძიმებს. იმის ნაცვლად, რომ კარის მეზობელი დაეცვა, კაცი თავად ახორციელებდა მასზე ძალადობას, – ამბობს ადვოკატი.

ბრალდებულის ადვოკატის, ირაკლი უტიაშვილის, თქმით, საუბარია გაუპატიურების მცდელობაზე.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, მამაკაცს 14 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

სასამართლომ ქალს დაზარალებულის სტატუსი უკვე მიანიჭა.

„დედას მოვუ**ნავ სუყველას, მე ვერ მომერევით, გაიგე?!“

თელასის ფინანსურ დირექტორს ქალისადმი ძალადობას აბრალებენ

„თელასის“ მაღალჩინოსანს დისკრიმინაციაში ადანაშაულებენ – კომპანიის ფინანსური სამსახურის უფროსს, სახალხო დამცველის ოფისის შემდეგ, განმარტებების მიცემა ამჯერად გამოძიებისთვის მოუწევს.

მიზეზი ყოფილი თანამშრომლის ბრალდებებია.

გინება, ფსიქოლოგიური ძალადობა, დისკრიმინაცია – შევიწროებაში კომპანია „თელასის“ ფინანსური სამსახურის უფროსს ყოფილი თანამშრომელი ადანაშაულებს. ახალგაზრდა ქალი კამერებთან არ საუბრობს. მისი ადვოკატი კი ამბობს, რომ საქმეში არსებობს ჩანაწერები, სადაც კარგად ისმის, როგორ აყენებს ის თანამშრომელს შეურაცხყოფას. ინტერესების დამცველის თქმით, ეს კონკრეტული ფაქტი ერთი წლის წინ მოხდა, თუმცა მსგავს შემთხვევებს სისტემატიური ხასიათი ჰქონდა. ადვოკატმა საგამოძიებო ორგანოს მიმართა,



საქმეზე გამოკითხვა დღეს, 5 ივლისს არის დაგეგმილი.

ვიდრე ადვოკატი ჩანაწერებს გაასაჯაროებს, მათი შინაარსი სახალხო დამცველის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში უკვე მოხვდა. დოკუმენტის მიხედვით „თელასის“ მაღალჩინოსანი თანამშრომლებს შეურაცხყოფას აყენებს და უცენზურო სიტყვებით მიმართავს.

„სულ ერთ ადგილზე მკიდია ცრემლები“, „ამას ვინ მიეკარება“, „თუ გინდათ, წაიყვანეთ და ლოგინში ჩაიწვინეთ“, „ცოტა გაასწორეთ ის ტვინები, მიხვდით, რო დედას მოვუ**ნავ სუყველას, მე ვერ მომერევით, გაიგე?!“ – ეს ფრაზებია მოყვანილი ანგარიშში.

პრობლემით დაინტერესების შემდეგ სახალხო დამცველის აპარატმა საქმე შეისწავლა და დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას. აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის უფროსის თქმით, მათ რეკომენდაციებით კომპანიას მიმართეს, რომ შემუშავდეს შიდა რეგულაციები. ომბუდსმენის აპარატში ამბობენ, რომ საქმეში არსებული მასალების მიხედვით, შეურაცხმყოფელი განცხადებები მაღალჩინოსნის მხრიდან განსხვავებული აზრის გამოთქმას მოჰყვა.

„კურიერი“ დაუკავშირდა კომპანია „თელასს“, სადაც ინტერვიუზე უარს ამბობენ.

სახალხო დამცველისთვის მიცემულ განმარტებაში ბრალდების ადრესატი ჩანაწერებს ფაბრიკაციას უწოდებს.

კურიერებზე შეჯახების ფაქტზე შსს-მ გამოძიება დაიწყო

თავისუფლების მოედანზე, ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო. საუბარია შემთხვევაზე, როდესაც თეთრი ფერის ავტომანქანა 2 კურიერს დაეჯახა და ადგილიდან გაიქცა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას გულისხმობს. მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

შემთხვევა თავისუფლების მოედანზე 3 ივლისს მოხდა.

კადრები სოციალურ ქსელში გავრცელდა.

ვლადიმერ ბორცვაძე შს მინისტრის მოადგილეობიდან მოხსნეს

ვლადიმერ ბორცვაძემ შს მინისტრის მოადგილის თანამდებობა დატოვა – შსს-ში „მთავარს“ უთხრეს, რომ ბორცვაძემ თანამდებობა პირადი გადაწყვეტილებით დატოვა, თუმცა არაოფიციალური ინფორმაციით, ის გაუშვეს.

მიზეზი სავარაუდოდ ის გახდა, რომ ბორცვაძე გიორგი გახარიას კადრად მოიაზრებოდა.

ვლადიმერ ბორცვაძე შს მინისტრის მოადგილედ 2019 წლის თებერვალში დაინიშნა. იქამდე ის შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობას იკავებდა.

მამაკაცმა მტკვარში გადავარდნილი გოგონა გადაარჩინა, მაგრამ თვითონ დაიხრჩო

ტრაგედია თბილისში – მტკვარში 36 წლის კაცი დაიხრჩო.

შოთა ქარსელაძე მდინარეში გადავარდნილი უცნობი გოგონას გადასარჩენად გადახტა, ქალი სიკვდილს გადაარჩინა, თავად კი ნაპირზე გამოსვლა ვეღარ შეძლო.

შემთხვევა ორთაჭალაში 3 ივლისს მოხდა.

სამაშველო სამსახური მამაკაცის ცხედარს ორთაჭალის სანაპიროზე რამდენიმე საათის განმავლობაში ეძებდა. ცხედარი 4 ივლისს იპოვეს და ექსპერტიზაზე გადაასვენეს.

მეზობლების თქმით, კაცმა ცურვა არ იცოდა.

„წადი რა, აქ რა გინდა საერთოდ!“

უგულავას მიერ ნაცემი ბადრი გავაშელიშვილი სტადიონზე იპოვეს

გიგი უგულავას „ნაცემ“ ძიუდოისტს „მთავარმა არხმა“ ფეხბურთის თამაშისას მიაგნო. ბადრი გავაშელიშვილი ამბობს, რომ პროცესზე ექიმის რეკომენდაციით არ გამოცხადდა.

გავაშელიშვილი უკვე ორი სხდომაა, სასამართლოში ჩვენების მისაცემად არ მიდის.

მთავარის და ტვ პირველის ჟურნალისტები ფეხბურთის მოედანზე ძიუდოისტს გაესაუბრნენ.

– სასამართლო უწყებაზე გარკვეული მიზეზი მქონდა და ვერ მოვედი, – ამბობს ბადრი გავაშელიშვილი.

– რატომ არ მიხვედით?

– ადამიანი ვარ და მეც მაქვს რაღაცა მიზეზები.

– დღეს გამონახეთ დრო, რომ ფეხბურთი გეთამაშათ?

– ფეხბურთი არა, ცუდად ვარ და ცოტა მოვდივარ ფორმაში, დღეს დამრთო ექიმმა ნება, რომ მეთამაშა. წადი რა, აქ რა გინდა საერთოდ, სტადიონზე რა გინდა, ხალხს რომ აწუხებთ, ვერ ხვდებით?

– რაც მალე გვიპასუხებთ, მალე წავალთ.

– გადი ახლა აქედან. წლებია, მაქვს ჩემი ბიზნესი და გუშინ და გუშინწინ არ მიმიღია.

– კარიერი როდის მიიღეთ?

– შენ ვინ გკითხავს, როდის მივიღე, წადი ახლა აქედან!

უგულავა და მისი ადვოკატი დარწმუნებული არიან, პროკურატურას არ სურს, რომ დაზარალებულმა სასამართლოს ჩვენება მისცეს.

ფარავნის ტბაში 17 წლის მამაკაცი დაიხრჩო

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ფარავნის ტბაში 17 წლის ახალგაზრდა, ვ.ტ. დაიხრჩო.

შემთხვევა 2 ივლისს საღამოს 23 საათისთვის მოხდა. ახალგაზრდა ტბაში საცურაოდ შევიდა და გამოსვლა ვეღარ შეძლო.

ცხედარი ტბიდან მაშველებმა გამოიყვანეს. ვ.ტ. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოკას მკვიდრია.

რუსთავის ტრასიდან ტრაილერი გადავარდა

მძღოლი დაიღუპა

რუსთავი-გაჩიანის დამაკავშირებელ ხიდზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ტრაილერის მძღოლი ემსხვერპლა.

შემთხვევა 3 ივლისს რუსთავი-ლილოს ავტომაგისტრალზე მოხდა. სატვირთო ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ხიდიდან გადავარდა. სიმაღლიდან ვარდნის შედეგად, ტრაილერს ცეცხლი გაუჩნდა.

ადგილზე მობილიზებული იყო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამი სახანძრო-სამაშველო ბრიგადა.

ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

მალხაზ ბადუაშვილი წინასწარ პატიმრობაში რჩება

სასამართლოს გადაწყვეტილებით, კრიმინალური ავტორიტეტი მალხაზ ბადუაშვილი წინასწარ პატიმრობაში რჩება.

გამოძიება მას იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას ედავება.

შსს-მ არაერთი გახმაურებული საქმის ფიგურანტი მიცკევიჩის ქუჩაზე დააკავა.

ეს ბადუაშვილის დაკავების უკვე მეოთხე შემთხვევაა.

ადვოკატები ამბობენ რომ სამართალდამცავებმა კრიმინალურ ავტორიტეტს იარაღი ჩაუდეს და გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

ბათუმში მატარებელი 80 წლის ქალს დაეჯახა

2 ივლისს, ბათუმში 80 წლამდე ასაკის ქალს მატარებელი დაეჯახა. სასწრაფო დახმარების სამსახურის ინფორმაციით, დაშავებული ქალი კლინიკა „მედცენტრში“ გადაიყვანეს.

„მედცენტრის“ ინფორმაციით, დაშავებული ქალის მდგომარეობა კლინიკაში შეყვანის დროს მძიმე იყო, იგი გარდაიცვალა.

შემთხვევა დაახლოებით 15:00 საათზე თამარის დასახლების ტერიტორიაზე, სარკინიგზო გადასასვლელზე მოხდა.

გურჯაანში 3 წლის ბავშვი მე-3 სართულიდან გადავარდა

1 ივლისს გურჯაანში 3 წლის ბავშვი საცხოვრებელი სახლის მე-3 სართულიდან გადავარდა.

მცირეწლოვანი მიღებული დაზიანებებით თავდაპირველად გურჯაანის „ჯეოჰოსპიტალისს“ საავადმყოფოში მოათავსეს, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმის გამო, ბავშვი თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

გორის ავტობუსში მთვრალი მამაკაცი დააკავეს

„ორსულს ეჩხუბებოდა, უნდა გახდეო“

გორის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა 35 წლის მამაკაცი დააკავეს.

პოლიცია ავტობუსში მყოფმა მგზავრებმა გამოიძახეს და შსს-ს საინფორმაციო ცენტრს აცნობეს, რომ ნასვამი მოქალაქე ფეხმძიმე ქალს შეურაცხყოფას აყენებდა.

– №3 ავტობუსში ნასვამმა მამაკაცმა ორსულ გოგონას და მის მეგობრებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და გოგონამ საპატრულო პოლიცია გამოიძახა, – უთხრეს „ქართლს“ მოქალაქეებმა.

როგორც ირკვევა, ინციდენტი კომბინატის დასახლებიდან დაიწყო. პირველ გაჩერებაზე ამოვიდნენ გოგონები, შემდეგ გაჩერებაზე კი – ნასვამი მამაკაცი.

– ეს ბიჭი ამ გოგოებს მიუჯდა და დაიწყეს კამათი. რატომ მეჯიკავებიო – ეუბნებოდა გოგოს. გოგომ უპასუხა, როდის გეჯიკავებიო. მერე ბიჭმა უთხრა: ცოტა უნდა გახდე, რომ სხვაც დაჯდესო. ამას მოყვა კამათი და გამოვიძახეთ პოლიცია, – ამბობს მგზავრი.

პოლიცია ავტობუსს სტადიონის გაჩერებაზე დახვდა და ნასვამი მამაკაცი წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანა.

სადგურის მოედანზე მანქანა სავალუტო ჯიხურში შევარდა

3 ივლისს სადგურის მოედანზე მანქანა სავალუტო ჯიხურში შევარდა.

შემთხვევის შედეგად 1 პირი დაშავდა, მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

დაშავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

ადგილზე სამართალდამცავები მუშაობდნენ.

დონალდ ტუსკი პოლონეთის უმსხვილეს ოპოზიციურ ჯგუფს ჩაუდგა სათავეში

პოლონელი პოლიტიკოსი ევროპული საბჭოს ყოფილი პრეზიდენტი დონალდ ტუსკი პოლონეთის პოლიტიკურ ფრონტზე დაბრუნდა და ქვეყნის უმსხვილეს ოპოზიციურ ჯგუფს „სამოქალაქო პლატფორმას“ ჩაუდგა სათავეში.

– მე 100%-ით დავბრუნდი ამ კოშმარის დასასრულებლად და გამარჯვების რწმენის დასაბრუნებლად. გამარჯვების შანსი „სამოქალაქო პლატფორმის“ გარეშე არ არსებობს და ჩვენი ისტორია ამას გვეუბნება, – განაცხადა ტუსკმა ვარშავაში გამართულ პარტიის კონგრესზე.

პოლონეთის ყოფილი პრემიერი ტუსკი ამჟამად „ევროპის სახალხო პარტიის“ თავმჯდომარეა. იგი ევროპული საბჭოს პრეზიდენტის პოსტს 2014-2019 წლებში იკავებდა.

მედია წერს, რომ ტუსკის მთავარი ამბიციაა, პოლონეთი ევროპული კურსისკენ დააბრუნოს.

ისრაელმა ღაზას სექტორში ჰამასის ობიექტები დაბომბა

ისრაელი ღაზა სექტორში ჰამასის ობიექტების დაბომბვას აგრძელებს. ქვეყნის თავდაცვის ძალების ინფორმაციით, საჰაერო ძალებმა ავიაიერიშები მიიტანეს ღაზას სექტორში განთავსებულ დაჯგუფება ჰამასის ობიექტებზე.

ისრაელის სამხედრო უწყება აღნიშნულს პალესტინის მხრიდან აალებადი ბუშტების გაშვებით ხსნის.

დაბომბვას ღაზა სექტორში 1 მოქალაქე ემსხვერპლა.

ფილიპინებზე სამხედრო თვითმფრინავი ჩამოვარდა

ფილიპინებში სამხედრო თვითმფრინავი ჩამოვარდა.

კატასტროფის ადგილზე მაშველებმა 29 სამხედროს და 2 სამოქალაქო პირის ცხედარი აღმოაჩინეს.

სხვადასხვა სახის ტრავმები მიიღო 50-მა სამხედრომ და ოთხმა სამოქალაქო პირმა, რომლებიც თვითმფრინავში ისხდნენ.

– ჩვენ ჯერ კიდევ ვიმედოვნებთ, რომ შევძლებთ მეტი გადარჩენილის პოვნას, – განაცხადა გაერთიანებული ოპერატიული ჯგუფის „სულულუ“ მეთაურმა, გენერალ-მაიორმა უილიამ გონსალესმა.

მისი თქმით, სამძებრო-სამაშველო ოპერაცია ჯერ კიდევ გრძელდება. 17 ადამიანი დაკარგულად მიჩნევა.

მანვე აღნიშნა, რომ რამდენიმე ჯარისკაცი თვითმფრინავიდან კატასტროფამდე გადმოხტა.

ბორტზე 80-ზე მეტი ადამიანი იმყოფებოდა.

ბრაზილიის პრეზიდენტის წინააღმდეგ საქმე აღძრეს

ბრაზილიის პრეზიდენტის, ბოლსონარუს, წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. მიზეზი ინდური ანტიკორონავირუსული ვაქცინის შესყიდვისას კანონის დარღვევაა.

– ჩვენ ამ საკითხს ვსწავლობთ! – აცხადებს პროკურორი ვებერი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქალეიდოსკოპი

ლატარიაში მოგებამ ქალის უზრუნველი სიბერე უზრუნველყო

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ დარემის მკვიდრმა ქალმა მართალია მისთვის საჭირო საქონელი ვერ ნახა, მაგრამ სამაგიეროდ უზრუნველი სიბერე უზრუნველყო.

ჯოანა პაჩეკოს თქმით, ის მაღაზიაში მივიდა და აღმოაჩინა, რომ საყვარელი მომენტალური ლატარიის ყველა ბილეთი უკვე გაყიდული იყო. მაშინ მან გადაწყვიტა სხვა, ახლახან გამოსული ლატარიის ოთხი ბილეთი შეეძინა.

ქალი სახლში დაბრუნდა, საწოლზე მოკალათდა და ბილეთებზე დამცავი ფენის გადაფხეკას შეუდგა. ერთ-ერთმა მათგანმა ქალს 200 ათასი დოლარის მოგება მოუტანა.

პაჩეკოს თქმით, მას ამ მოგებამ სულზე მიუსწრო, რადგანაც ის ახლახან გადავიდა ნიუჰემპშირის შტატიდან ჩრდილოეთ კაროლინაში.

– ახლა სიცოცხლის ბოლომდე ბედნიერად ვიცხოვრებ, ეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, – განაცხადა პაჩეკომ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნახევარფინალისტები დალაგდნენ

ჩეხეთი-დანია 1:2

ბაქო. ოლიმპიური

0:1 დილეინი (5), 0:2 დოლბერგი (42), 1:2 შიკი (49)

ალბათ ძალიან ცოტა ადამიანი თუ იფიქრებდა, რომ საწყისი 2 მატჩის წაგების შემდეგ დანია ნახევარფინალში აღმოჩნდებოდა.

ჩეხეთის ნაკრებთანაც, მატჩის დიდი ნაწილი თანაბარი იყო, რამდენიმე განსხვავებული ეპიზოდებით. თუმცა, შეუპოვარი ბრძოლა თამაშს მთელი 90 წუთის მანძილზე არ დაჰკლებია.

პირველი ტაიმი უფრო თანაბარი იყო, მაგრამ საგოლე მომენტების რეალიზაცია დანიელებს უკეთ გამოუვიდათ და შესვენებაზე ორბურთიანი ჰანდიკაპით გავიდნენ. დანიელები უფრო უფრთხილდებოდნენ ბურთს, მომენტებს და უფრო კონკრეტულებიც იყვნენ. ჩეხები პრესინგს ეპიზოდურად იყენებდნენ. ისე ჩანდა, თითქოს ძალებს ანაწილებდნენ.

მე-2 ტაიმის დასაწყისშივე პატრიკ შიკმა მიმდინარე ევროპირველობაზე მე-5 გოლი გაიტანა და კრიშტიანუ რონალდუს დაეწია. თუმცა, მისი ეს გარჯა საკმარი არ აღმოჩნდა.

დანია მშვიდად იცავდა თავს და მწვავედ გადადიოდა კონტრშეტევებზე. საბოლოოდ, სკანდინავიელებმა საქმე ბოლომდე მიიყვანეს და ნახევარფინალში გავიდნენ.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ტომას დელეინი

დანიელთა ნახევარმცველმა მშვენიერი მატჩი ჩაატარა. ყველგან ასწრებდა ყოფნას – დაცვაშიც და თავდასხმაშიც. მისი გოლიც ამ გამარჯვების ერთი პატარა ნაწილია.

უკრაინა-ინგლისი 0:4

რომი. ოლიმპიკო

0:1 კეინი (4), 0:2 მაგუაირი (46), 0:3 კეინი (50), 0:4 ჰენდერსონი (64)

კიდევ ერთი ზღაპარი დასრულდა. უკრაინის ნაკრებმა ბევრი იბრძოლა მეოთხედფინალში რომ გასულიყო, მაგრამ ინგლისთან მაგრად შერცხვა.

ფეხბურთის ფუძემდებლები კი, ყოველ ახალ ეტაპზე უმატებენ და უმთავრეს ფავორიტებად იქცნენ. უკრაინასთან გაილაღეს და გარეთ საუთგეითის ბიჭებმა მეტოქეს 4 უპასუხო გოლი გაუტანეს. თანაც ეს ძალიან პრაგმატულად გააკეთეს.

ბრიტანელებს არ უცდიათ მთელი მატჩი მათი დომინირებით წარმართულიყო. ორივე ტაიმის დასაწყისი კი, შესანიშნავად ჩაატარეს და მატჩის ბედი კონკრეტულ მონაკვეთებში გადაწყვიტეს.

დასაწყისში რაჰიმ სტერლინგის პასით ჰარი კეინმა გაიტანა, რომელმაც მე-2 ტაიმში დუბლი შეასრულა, მაგრამ მანამდე მეორე ჰარიმ, მაგუაირმაც გაიტანა. ორივემ ლუკ შოუ ჩაწოდებით შეაგდო.

თამაში უკვე გაკეთებული იყო, მაგრამ 64-ე წუთზე ჯორდან ჰენდერსონმა კიდევ ერთხელ დაამწუხრა უკრაინელები და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ინგლისი ნახევარფინალშია და დანიას შეხვდება.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ჰარი კეინი

ინგლისელთა კაპიტანმა ფლეი ოფში ფორმა აკრიფა. კეინს ჯგუფურ ეტაპზე არ გაუტანია, მაგრამ ჯერ მერვედფინალში გახსნა გოლების ანგარიში, მეოთხედფინალში კი დუბლი შეასრულა. ნახევარფინალში ჰეთ თრიკს უნდა ველოდოთ?

შედეგები

3 ივლისი

ფეხბურთი

ევრო 2020

ჩეხეთი-დანია 1:2
ინგლისი-უკრაინა 4:0

ხოპა ამერიკა

არგენტინა-ეკვადორი 3:0
ურუგვაი-კოლუმბია 0:0 (2:4პ)

შვედეთი. აღსვენსკა

ნორჩიოპინგი-მალმიო 3:2
დეგერფოსრი-ესტერსტუნდი 3:1

ნოხვეგია. ეროტსერია

ბოდო გლიმტი-ვიკინგი 2:2

ჩოგბურთი

უიმბლდონი

კაცები

ივაშკა-ტომპსონი 6:4,6:4,6:4
სონეგო-დაკვორტი 6:3,6:4,6:4
ბერეტინი-ბედენე 6:4,6:4,6:4
ჰურკაჩი-ბუბლიკი 6:3,6:4,6:2
ფრიცი-ზვერევი 7:6,4:6,3:6,6:7
ფედერერი-ნორი 6:4,6:4,5:7,6:4
ჩილიჩი-მედვედევი 7:6,6:3,3:6,3:6,2:6

ქალები

კირსტეა-რადუკანუ 3:6,5:7
კერბერი-სასნოვიჩი 2:6,6:0,6:1
ოსტაპენკო-ტომლიანოვიჩი 6:4,4:6,2:6
მუხოვა-პავლუჩენკოვა 7:5,6:3
ლინეტი-ჰიბერტი 7:5,2:6,4:6
იუვანი-გაუფი 3:6,3:6
სევასტოვა-კრეიჩიკოვა 6:7,6:3,5:7
ბარტი-სინოაკოვა 6:3,7:5

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქალეიდოსკოპი

საპატარძლო სასიძოს, წვერის მოპარსვაზე უარის გამო, ქორწილის გაუქმებით დაემუქრა

ქალი საქმროს მიერ წვერის მოპარსვაზე უარის თქმამ გააცოფა და აცნობა, რომ ამის გამო ქორწილის გაუქმებას აპირებდა. ამის შესახებ საპატარძლომ სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე დაწერა.

ინფორმაციის ავტორმა საკუთარი ისტორია ინტერნეტ-მომხმარებლებს გაუზიარა. ქალის თქმით, ის და მისი პარტნიორი უკვე სამი წელია ერთმანეთს ხვდებიან და ამ დროის მანძილზე ის დროდადრო უშვებდა წვერს. თუმცა მათი ქორწილის წინ, რომელიც 6 სექტემბრისთვისაა დანიშნული, საპატარძლოს საქმროს გარეგნობა არ მოეწონა.

მისი თქმით, ქორწილის თარიღის მოახლოებასთან ერთად, მას სულ უფრო მეტად აფიქრებდა სხვადასხვა დეტალები. მაგალითად, ქალმა გადაწყვიტა, რომ საქმროს წვერმა შესაძლოა საქორწინო ფოტოსურათები გააფუჭოს.

– მე მას ხუმრობით ვკითხე, აპირებდა თუ არა ქორწილის წინ წვერის მოპარსვას. მან ამაზე კატეგორიული უარი მითხრა და ამის შემდეგ ყველაფერი უკულმა დატრიალდა, – დაწერა ქალმა.

მაშინ მან საქმროს ულტიმატუმი წაუყენა – ან ის მოიპარსავს წვერს, ან არადა, ქორწილს გააუქმებს. საქმრო ამან გააცოფა, სახლიდან წავიდა და მას შემდეგ აღარ შეხმიანებია.

ინტერნეტ-მომხმარებლების აზრი ამ ყოველივეზე ორად გაიყო, ერთი ნაწილი ქალის გადაწყვეტილებას მხარს უჭერს, ხოლო მეორე ნაწილი თვლის, რომ ის არასწორად იქცევა. ერთ-ერთმა საკუთარ კომენტარში დაწერა:

– შენ ხომ „დიახ“ უთხარი საქმროს იმ დროს, როდესაც მას წვერი ჰქონდა მოშვებული, ჰოდა, მიიღე ისეთი, როგორიც არის. აბა წარმოიდგინე, მას რომ განეცხადებინა, მანამდე არ დაქორწინდებოდა შენზე, სანამ წონაში 10 კილოგრამს არ დაიკლებდი.



ქალმა მილიარდი დოლარი მიიღო და მისი თავიდან მოშორება ვეღარ შეძლო

ამერიკის ფლორიდის შტატის მცხოვრებმა ქალმა საკუთარ საბანკო ანგარიშზე მილიარდი დოლარი მიიღო და მისი თავიდან მოშორება ვეღარ მოახერხა.

ქალაქ ლარგოს მკვიდრმა ჯულია იონკოვსკიმ საკუთარ ანგარიშზე უზარმაზარი თანხა იმ დროს აღმოაჩინა, როდესაც ბანკომატში თავისი ბარათის ბალანსს ამოწმებდა. ქალი ფიქრობდა, რომ მის ანგარიშზე 20 დოლარი იდო, თუმცა ბანკომატმა ჯერ ფულის გაცემაზე უარი უთხრა, ხოლო ბალანსის მოთხოვნის შემდეგ შეატყობინა, რომ იონკოვსკი უზარმაზარი თანხის მფლობელი იყო.

– ღმერთო ჩემო, საშინელ დღეში ვიყავი! ვიცი, ბევრი იფიქრებდა, რომ ეს დაუჯერებელი იღბლიანობა იყო, მაგრამ მე შევშინდი, – განაცხადა ქალმა. მის ანგარიშზე აღმოჩენილმა თანხამ იონკოვსკი აშშ-ის ყველაზე მდიდარი ადამიანების რეიტინგში 615-ე ადგილზე გაიყვანა.

მოულოდნელად გამდიდრებულმა ქალმა მაშინვე ცადა ბანკთან დაკავშირება, რათა მის ანგარიშზე უცნაურად აღმოჩენილი თანხა უკან დაებრუნებინა, მაგრამ ფინანსური დაწესებულების თანამშრომლები მას არც კი გამოხმაურებიან, ხოლო იონკოვსკის მუდმივ ზარებს კლიენტების მომსახურების ავტომატური სისტემა პასუხობდა.

– მრავალი ისტორია წამიკითხავს, როდესაც ადამიანებს, რომლებმაც მსგავსი სიტუაციით ისარგებლეს, შემდეგ დახარჯულის უკან დაბრუნება უხდებოდათ. თუმცა მე რაიმეს დახარჯვას არ ვაპირებ, ეს ხომ ჩემი ფული არ არის, – განაცხადა იონკოვსკიმ. ამ დროისთვისაც ბანკს არანაირი რეაგირება არ მოუხდენია აღნიშნულ ინციდენტზე და ქალი ჯერ ისევ რჩება ამერიკის ყველაზე მდიდარი ადამიანების სიაში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მარაბდობის ტრადიციული დღესასწაული ჩოხოსნებმა მოკრძალებულად აღნიშნეს

1 ივლისი მარაბდობის ტრადიციული დღესასწაულია, რომელსაც უკვე წლებია საქართველოს ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსან რაინდთა დასი აღნიშნავს.

ჩოხოსან რაინდთა დასის წევრები მარაბდობის დღესასწაულზე

პანდემიის მიუხედავად, იდეის ავტორმა, ჩოხოსან რაინდთა დასის ხელმძღვანელმა გოგი დოლიძემ მარაბდობა მაინც აღნიშნა, თუმცა მაქსიმალურად მოკრძალებულად:

– მარაბდობის ტრადიციული დღესასწაული 1 ივლისი, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, წელს ერთობ მოკრძალებული, მაგრამ ფრიად საქმიანი კი გამოგვივიდა – შეიკრიბა მხოლოდ დასის დარბაზი სოფელ მარაბდის ენერგიულ თავკაცთან, ბატონ ნესტორ ლობჟანიძესთან ერთად და დაიგეგმა, როგორ უნდა მოვემზადოთ მარაბდის ისტორიული ბრძოლის (I.VII.1625) 400 წლისთავისთვის. გვეიმედება ის ურთიერთობა, რომელიც უკვე დავამყარეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და, რაც მთავარია, თვით თეთრიწყაროს რაიონის ხელმძღვანელობასთან.

შვეიცარიის ბიზნესრეიტინგების ასოციაციამ ქართველი ხელოვანები დააჯილდოვა

შვეიცარიის ბიზნესრეიტინგების ასოციაციამ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ცნობილი ქართველები დააჯილდოვა.

ორდენები რეჟისორმა ლანა ღოღობერიძემ, თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძემ, დირიჟორმა ნიკოლოზ რაჭველმა, დიზაინერმა ზვიად ციკოლიამ, კომპოზიტორმა რუსა მორჩილაძემ და ტელეწამყვანმა ნანიკო ხაზარაძემ მიიღეს.

მათ ეს ჯილდო თავის საქმიანობაში გაწეული ფასდაუდებელი ღვაწლისთვის დაიმსახურეს.

ლაშა მარგიანი: „ყოველდღე ვკარგავ ადამიანის სახეს“

პოეტი ლაშა მარგიანი აცხადებს, რომ ცხოვრებაში რთული ეტაპი უდგას და ფინანსური კრიზისი მის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს:

– სინამდვილეში, იცით როგორ ვარ, ნაღმზე ფეხდადგმულივით, დაღლილობისა და სიმწრისგან, სადაცაა რომ ჩაიკეცება და აფეთქდება, ჰაერში აიწევა.

კვირაში მინიმუმ 150 ლარის წამლებს ვსვამ, ფიზიკურად ვეღარ ავუდივარ, გიჟს ვგავარ.

ვიღაცისთვის შესაძლოა ერთი ჭამის ფულია ეს, მაგრამ ჩემთვის, როცა არსაიდან არანაირი შემოსავლის წყარო არ გამაჩნია, გარდა რაღაც მოხატული ნივთებისა, რომლებიც თვეში ერთი თუ გამეყიდება, კვირების საგზლად უნდა ვანაწილებდე ამ თანხას და ვიმყოფინო, რაც შეუძლებელია.

ამას წინათ რამდენიმე კვირით შევეშვი, თავი დავანებე წამლების მიღებას, მაგრამ იმდენად ცუდად გავხდი, ვეღარ შევძელი გაძლება.

გაუსაძლისიდან – გაუსაძლისამდე, ასე ჰქვია დღეს ჩემს ცხოვრებას.

ვიცი, რომ ამ ქალაქში, ამ ქვეყანაში ჩემზე ბევრად უარესად მყოფებიც არიან, მაგრამ მე ჩემი ცუდად ყოფნა მსპობს, ბოლოს მიღებს, შინაგანადაც და გარეგანადაც, სულიერადაც და მით უფრო, ფიზიკურად. ასე მგონია, ყოველდღე ვკარგავ ადამიანის სახეს.

აბსოლუტური გაჭირვება და განუკითხაობაა გარშემო.

ნინო მიქიაშვილი დავით ლორთქიფანიძეზე: „დასაჭერია!“

ჟურნალისტი ნინო მიქიაშვილი ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელ დავით ლორთქიფანიძესთან დაკავშირებით აცხადებს, რომ დასაჭერია:

– დასაჭერია!

იმ დღეს ველოდები, როცა ტელევიზიები ერთმანეთს დაასწრებენ უარყოფითი სიუჟეტების გაკეთებას საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურ დირექტორზე. მიხარია, „ტვ პირველს“ რომ ვერ გასცდა, ბატონი დავით ლორთქიფანიძე და მთლად ფილარმონია ტელევიზიებს რომ ვეღარ გააკეთებინა საკუთარი თავის საპიარო სიუჟეტი. დღეს ეს რეალობაა – ათწუთიანი, მძივივით აწყობილი, დავარცხნილი სიუჟეტი გადის ტელეეთერში ადამიანზე, რომელიც, მინიმუმ, საბრალდებო სკამზე უნდა იჯდეს და ბორკილები დაედოს თუ არა ხელზე, ამაზე სასამართლო უნდა მსჯელობდეს. მე რომ მკითხოთ, დასაჭერია!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

უკეთესი საქართველო — „ბორჯღალოსნებმა“ მსოფლიო ჩემპიონთან იბრძოლა

სამხრეთ აფრიკა – საქართველო 40:9

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონ სამხრეთ აფრიკას სერიის პირველ მატჩში დიდი ბრძოლა გაუმართა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში და 35-ე წუთამდე 9:5-საც იგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ მასპინძლების კლასმა იჩინა თავი და შეხვედრა 40:9 მოიგეს.

„ბოკემ“ პრეტორიაში საქართველოს წინააღმდეგ 18 მსოფლიოს ჩემპიონი დააყენა და რა თქმა უნდა, ფლობდა როგორც სათამაშო, ასევე ტერიტორიულ უპირატესობას, მაგრამ ყოველი მეტრის მოგება უდიდეს ძალისხმევად უჯდებოდა, რადგან ქართველი მორაგბეების მხრიდან თავგანწირულ დაცვას აწყდებოდა.

მასპინძლებმა, რომლებიც 2019 წლის მსოფლიო თასის ფინალის შემდეგ პირველ შეხვედრას ატარებდნენ, თითო ტაიმში 3-3 ლელო გაიტანეს, აქედან 2 რიცხობრივ უპირატესობაში.

თამაშში ბურთი საქართველომ შეიყვანა, რასაც მასპინძლების შეცდომა მოყვა, მერე შერკინებამ ჯარიმა გამოიმუშავა და თედო აბჟანდაძემ ანგარიში გახსნა. აფრიკელებმა სწრაფი ლელოთი გვიპასუხა – დერეფნიდან ბურთი ფრთაზე ბოლომდე ჩაათამაშა, სადაც აპელელე ფასი ყველას გაექცა და ლელო ალამთან გაიტანა.

გარდასახვა არაზუსტი იყო და მომდევნო 30 წუთში ჩემპიონმა ქულის აღება ვეღარ მოახერხა. დაცვაში ძალიან კარგად ითამაშა მერაბ შარიქაძემ, რომელმაც მეტოქეს ბურთი ხელიდან ამოაცალა, შემდეგ მეტოქე 2-ჯერ დავაჯარიმეთ და მე-19 წუთზე აბჟანდაძემ ზუსტი დარტყმით ლიდერობა დაგვიბრუნა. 24-ე წუთზე მასპინძლები რაქში დაჯარიმდნენ, აბჟანდაძემ საქართველო 9:5 დააწინაურა.

ამას აფრიკელთა გააფთრებული შეტევები მოყვა. „ბორჯღალოსნებმა“ ფიზიკურ ორთაბრძოლებში არაფერი დათმეს და ბექა საღინაძემ 33-ე წუთზე გარდაუვალი ლელოსგან გვიხსნა, მაგრამ ერთ წუთში ისევ დაჯარიმდა და სინბინით დაისაჯა. ამას 2 ლელო მოყვა. ბონგი მბონამბიმ მოლი 5 ქულით დაასრულა, 38-ე წუთზე კი, სწრაფი ხელდახელ კონტრშეტევას ფეხით თამაში მოყვა, ბურთი გაზონიდან კობუს რეინახის ხელებში აღმოჩნდა და ტაიმი 9:19 წავაგეთ.

ტაიმის მიწურულს შარიქაძისა და თორნიკე ჯალაღონიას გარღვევის შემდეგ, საქართველოს ქულების აღების შანსი მიეცა და აბჟანდაძემ 22-იდან არეკნი დაჰკრა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა.

მე-2 ტაიმში მეტოქემ ტემპს უმატა და 54-ე წუთამდე საქართველო დაცვაში დადგა. მერე აფრიკელებმა 68-ე წუთამდე 3 ლელოს გატანა მოახერხეს და 40:9 იმარჯვეს.

მორიგი კარგი შეხვედრა ჩაატარა დავით ნინიაშვილმა, რომელიც კვლავ საიმედო იყო საჰაერო ორთაბრძოლებისას და ორჯერ ისე ჩავიდა რაქში, რომ მეტოქეს დაჯარიმება აიძულა. ხაზი კარგად გაჭრა აკა ტაბუცაძემ, თუმცა ეს შანსი გამოუყენებელი დარჩა.

ერთი კვირის თავზე საქართველო მსოფლიოს ჩემპიონთან მეორე ტესტ-მატჩს იოჰანესბურგში გამართავს.

ლევან მაისაშვილი:

– 35-ე წუთამდე თამაშს ვიგებდით და საწყენია, რომ უდისციპლინობის გამო 2 ლელო გავუშვით. რიგ შემთხვევებში შეცდომის დაშვებას მეტოქე გაიძულებს, მაგრამ არის სიტუაციები, როდესაც ეს დაუფიქრებლობით მოგდის. სამწუხაროდ, ეს თანმდევია, როდესაც ასეთი დონის მეტოქეს ეთამაშები. თუ კაცნაკლული რჩები, ის ყოველთვის ახერხებს ქულების აღებას და 2 ლელო მივიღეთ. მე-2 ტაიმში რამდენიმე იძულებითი გადაადგილება მოგვიწია. შეტევაში იყო ეპიზოდები, რომელთა ქულებში ასახვა, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ. ვიყავით ბრძოლისუნარიანები, მაგრამ ლოგიკურია, რომ მსოფლიოს ჩემპიონთან შეცდომები გვქონდა. ფაქტია, ამ გუნდმა იაპონიაში მხოლოდ ერთი საკუთარი დერეფანი დათმო, ჩვენ კი, 3 აუტში შევუშალეთ ხელი და მოლების გაჩერებაც მოვახერხეთ. მთლიანობაში კმაყოფილი ვარ და მომავალ შეხვედრაში, დარწმუნებული ვარ, პროგრესი გვექნება. თამაშის წინ ვთქვით, რომ დაცვა იწყება შეტევით. მიუხედავად იმისა, რომ დებიუტში უხეში შეცდომის გამო ლელო მივიღეთ, გუნდი თამაშში დარჩა. ვეცადეთ შეტევაში ბურთი გაგვეკონტროლებინა და გარკვეულწილად ეს გამოგვივიდა. შესვენების შემდეგ აფრიკელებმა ჩვენზე უკეთ მოახერხეს ბურთის კონტროლი. სტატიკურ სიტუაციებში რამდენიმე უხეში შეცდომა დავუშვით და ვერ გავუძელით. სწორედ ეს არის, რასაც უნდა შევეგუოთ. ვფიქრობ, სამხრეთ აფრიკა კმაყოფილი უნდა იყოს ჩვენთან თამაშით. კონტაქტის არეალში, მოლში, შერკინებაში, კონკურენტუნარიანები ვიყავით და ტაიმსაც მოვიგებდით, რომ არა უდისციპლინობა.

მერაბ შარიქაძე:

– სამხრეთ აფრიკა მსოფლიოს ჩემპიონი ტყუილად არ არის. ძალიან ძლიერი გუნდია და მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში სასურველი არ არის, ვფიქრობ, გვქონდა უკეთ თამაშის შანსი. ვთვლი, რომ 80 წუთის განმავლობაში ბოლომდე ვიბრძოლეთ და დასანანია, რომ განსაკუთრებით პირველი ტაიმის მიწურულს, 2 დასანანი ლელო მივიღეთ, რამაც პირველი ტაიმი დაგვათმობინა. რაღაც ასპექტებში მეტოქეს ვაჯობეთ, რაც დასაფასებელია. მეორე მატჩამდე შეცდომებზე ვიმუშავებთ და ასეთ მარტივ გამოსავლებს მეტოქეს არ ვაჩუქებთ.

ჟაკ ნინაბერი:

– ქათინაურები ჩემგან საქართველოს ნაკრებს. ჩვენ ვიცოდით, რომ ისინი ფიზიკურად ძალიან ძლიერები იყვნენ და მათგან მოველოდით ძალისმიერ თამაშს, მაგრამ არ გვქონდა რეალური ნიშანი, თუ როგორ გვეპასუხა ამაზე სათანადოდ.

საწყის ნახევარ საათში ცოტათი გაგვაოცეს, მაგრამ ამის შემდეგ ჩვენ საკუთარი ხელწერა გვქონდა. ახლა უკვე ვიცით, თუ რას უნდა ველოდოთ მომდევნო პარასკევს მათგან, რაც სათანადოდ არ ვიცოდით ამ მატჩისთვის.

თავდაპირველად ჩვენი პასუხი იყო სუსტი, დისციპლინაში მოვიკოჭლებდით და ეს საქართველოს დამსახურებაა, რომელმაც ამგვარი წნეხის ქვეშ მოგვაქცია. დიახ, ჩვენ გვინდოდა, რომ რთული დასაწყისი გვქონოდა. ზუსტად ასეთი რაღაცებისთვის გვჭირდება ტესტ-მატჩები. საქართველომ ძალისმიერი თამაში შემოგვთავაზა, რაც ჩვენ გვსურდა. მეორე ნახევარში ჩვენ გავაუმჯობესეთ თამაში, რითაც მოხარული ვარ.

თითქმის 20-თვიანი პაუზის შემდეგ საჭირო იყო ადაპტაცია და ასეთი თამაში მოსალოდნელი იყო, მომავალი კვირისთვის კი ყველა ასპექტი უნდა გავაუმჯობესოთ. გვსურდა გარკვეული თანმიმდევრობით თამაში, მაგრამ საქართველომ ითამაშა კარგად და ჩვენ ვიყავით წნეხის ქვეშ, ამიტომ, ალბათ ყველაფრის გაუმჯობესება გვესაჭიროება. სასიამოვნოა, რომ რთული სტარტის შემდეგ გუნდმა ერთიანობა აჩვენა მეორე ნახევარში. ეს მნიშვნელოვანი იყო.

ბათუმმა თბილისს მესამედ მოუგო და ლიდერობა ჩამოართვა

დინამო (თბ)-დინამო (ბთ) 1:2

თბილისი. დინამო არენა

1:0 მარუშიჩი (17), 1:1 აზაროვი (79), 1:2 ფლამარიონი (90)

დინამო (თბ): კვასხვაძე, მონხილი, ბენიო, ხვადაგიანი (კობოური 58), ქარდავა, პაპავა (მექვაბიშვილი 78), ხარაბაძე, მორჩილაძე (სპორქსლედე 67), კუცია (გაგნიძე 67), გაბედავა (რადინი 58), მარუშიჩი

დინამო (ბთ): კუპატაძე, ტედი (ნავალოვსკი 83), მარგველაშვილი, ზარია (ფლამარიონი 54), ჯიღაური (შინდაგორიძე 75), ფანცულაია (სანოგო 75), აზაროვი, მამუჩაშვილი (გაფრინდაშვილი 54), ალთუნაშვილი, კობახიძე, ჩაბრაძე

ჩემპიონატის ლიდერმა, კახაბერ ცხადაძის გაწვრთნილმა თბილისის დინამომ უშუალო კონკურენტს, ბათუმის დინამოს უმასპინძლა და მატჩი სტუმართა გამარჯვებით დასრულდა – 1:2.

შეხვედრაში ანგარიში თბილისელთა ლიდერმა ზორან მარუშიჩმა გახსნა – სერბმა ეროვნული ლიგის მიმდინარე გათამაშებაში მე-9 გოლის გატანა შეძლო.

ანგარიში 79-ე წუთზე, დინამო თბილისის ყოფილმა ფეხბურთელმა, ირაკლი აზაროვმა გაათანაბრა, რომელმაც შესანიშნავი შორეული დარტყმით როინ კვასხვაძის კარის აღება შეძლო.

შეხვედრაში გადამწყვეტი გოლი კი, ბათუმელთა რიგებში მობრუნებულმა ბრაზილიელმა ჯოვინომ გაიტანა. 24 წლის შემტევმა, გიორგი ნავალოვსკის პასი ზუსტად გამოიყენა და თავური დარტყმით დინამოში დაბრუნების შემდეგ პირველი გოლი გაიტანა.

მიმდინარე სეზონში ზღვისპირელებმა დედაქალაქელებს სამიდან 3 მატჩი მოუგეს.

დილა-ლოკომოტივი 2:1

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

1:0 კაპანაძე (18), 1:1 გავაშელიშვილი (62), 2:1 კამარა (71)

დილა: გუგუშაშვილი, მოსიაშვილი, ღუდუშაური (ბუღრიძე 12), მაისაშვილი, თ.კაპანაძე, ნონდი, სანტოსი, ბიძინაშვილი (ნემსაძე 60), სილვა (ჭიჭინაძე 90), კამარა, ეტოუ

ლოკომოტივი: თევდორაძე, დარცმელია, სიხარულიძე, სამურკასოვი (ჭიაბრიშვილი 78), გავაშელიშვილი (იაკობიძე 78), იმრანი, სანდოხაძე, თ.კირკიტაძე (კახაბრიშვილი 61), გაბაძე (მუკბანიანი 86), ქველაძე (რ.მჭედლიშვილი 60), უბილავა

დილამ თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე თბილისის ლოკომოტივს უმასპინძლა და პრინციპული მატჩი გორელთა გამარჯვებით დასრულდა – 2:1.

ანგარიში გორელთა შემტევმა თორნიკე კაპანაძემ გახსნა, რომელმაც ლოკოს მეკარის შეცდომით ისარგებლა და დილა დააწინაურა.

ანგარიში 62-ზე წუთზე ლოკოს 26 წლის ფორვარდმა, მამია გავაშელიშვილმა გაათანაბრა. ხოლო 71-ზე, დილას უსმანე კამარამ ლოკოს საჯარიმოში ეფექტურად ითამაშა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 2:1.

ამ მოგებით, დილამ გადაასწრო ლოკომოტივს და ახლა მე-3 ადგილზე თავად გამგრდა. თუმცა, უშუალო კონკურენტ საბურთალოს სათამაშო აქვს.

შუქურა-სამტრედია 2:0

ფოთი. ფაზისი

1:0 ჯერალდო (57), 2:0 მუსელიანი (64)

შუქურა: თებიძე, ფარტენაძე, ვარშანიძე, ჭანტურია, მუსელიანი (ვერულიძე 82), ინგოროყვა (ხმალაძე 65), სარდალიშვილი, გაფრინდაშვილი, რეხვიაშვილი, კაკაშვილი, ჯერალდო (კვარაცხელია 73)

სამტრედია: ბ.ქურდაძე, გ.მჭედლიშვილი, ცეცხლაძე, გოგიაშვილი (ნადირაძე 32), კვირკვია, მესიაჩენკო (ო.კობახიძე 64), ლუკავა, ლომთაძე (შენგელია 82), რობაქიძე (გადირზადე 82), დ.ჯიქია, გიორგაძე

გაძევება: რეხვიაშვილი (59)

გიორგი შაშიაშვილის გუნდმა გათამაშების გამოკვეთილ აუტსაიდერთან მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა.

შეხვედრის ორივე ნახევარი მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. ქობულეთელებმა პირველ ტაიმში 2 რეალური საგოლე მომენტიც შექმნეს, მაგრამ ორივე შემთხვევაში სამტრედიელთა გოლკიპერმა გადაარჩინა გუნდი.

თამაშის სურათი არც მეორე ნახევარში შეცვლილა. შუქურამ 57-ე წუთზე ჯეფერსონის მიერ გატანილით ანგარიში გახსნა. საგოლე პასი ზურაბ მუსელიანის იყო, რომელმაც 64-ე წუთზე თავადაც მიიწერა გოლი და მასპინძელთა უპირატესობა ორამდე გაზარდა.

აღსანიშნავია, რომ ქობულეთის შუქურამ მეორე ტაიმი ათაკაციანი შემადგენლობით დაასრულა. მატჩის 59-ე წუთზე მთავარმა არბიტრმა გიორგი რეხვიაშვილი გააძევა.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	21	12	7	2	39-15	43
2.დინამო (თბ)	21	13	2	6	32-17	41
3.დილა	21	10	5	6	24-20	35
4.ლოკომოტივი	21	10	3	8	36-33	33
5.საბურთალო	20	8	8	4	28-21	32
6.სამგურალი	20	7	7	6	20-22	28
7.შუქურა	21	4	8	9	18-28	20
8.ტორპედო	20	3	10	7	18-21	19
9.თელავი	20	4	6	10	17-33	18
10.სამტრედია	21	2	4	15	18-40	10

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 2. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელი; 3. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 5. მინერალური წყალი იმერეთში; 6. მეტყველების ნაკლის მკურნალი სპეციალისტი; 8. კვების პროდუქტების მწარმოებელი უმსხვილესი ბრიტანული კომპანია; 10. პირადი ინტერესების საზოგადოებრივ ინტერესებზე წინ დაყენება; 12. ნორვეგიელი არქტიკის მკვლევარი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 14. „ფორმულა-1“-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი; 15. დაბალი, ტკბილი ხმით მღერა; 16. ქართველი კინორეჟისორი.

თარაზულად: 1. პატარა ქვეწარმავალი; 4. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ამერიკული ჯიში; 7. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 9. ანგორული თხის მატყლი; 11. ფარული, საძრახისი მოქმედება, ხრიკები რაიმე მიზნის მისაღწევად; 12. შავკანიანთა რასის წარმომადგენელი; 13. აზერბაიჯანული მაწონი; 17. ცნობილი უელსელი რაგბის მსაჯი; 18. მოთელილი მატყლის ქსოვილი; 19. კოსმეტიკურ საშუალებათა ძველი ქართული სახელწოდება; 20. კინოცენტრი იტალიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კრუიზი; 2. კილტი; 3. გრახტი; 4. ჯორჯია; 6. ფარაონი; 9. არაყი; 11. კურიოზი; 15. ლაფონტენი; 16. სედანი; 17. ჭკუასელი; 19. იმპულსი; 21. პაპეინი; 22. ჩაჟაში.

თარაზულად: 5. დრაიზერი; 7. ანტრაშა; 8. არმანი; 10. გრაფიკა; 12. იგავი; 13. კრუპი; 14. ბაყალხანა; 18. გრილი; 20. ნესკრა; 23. მაინცი; 24. პაპი; 25. ბონუსი; 26. შუნი; 27. ანანასი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჭაღი; 2. შკოდა; 3. გრაალი; 5. ღვინო; 6. მოწამეთა; 8. უსახელაური; 10. დემარში; 12. ქიშმიში; 14. ჭირხლი; 15. ყაბახი; 16. პრადო.

თარაზულად: 1. ჭყვიში; 4. აღდგომა; 7. იკორთა; 9. ლენონი; 11. ჰაჯიბეი; 12. ქობულეთი; 13. მახვში; 17. სტიაუა; 18. პუმა; 19. აშპაშხანა; 20. ლიმონათი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

5 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1593

ევრო — 3.7375

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3412

100 რუსული რუბლი — 4.2920

ამინდის პროგნოზი 5 ივლისისათვის

რაფაელ ვარანი კარიერას მანჩესტერ იუნაიტედში გააგრძელებს

რაფაელ ვარანი მანჩესტერ იუნაიტედს პირადი კონტრაქტის პირობებზე უკვე შეუთანხმდა და სულ მალე ის ოფიციალურად ამ გუნდის ფეხბურთელი გახდება.

ვარანი მანჩესტერს 5-წლიან კონტრაქტზე შეუთანხმდა, რომლის მიხედვითაც მისი ანაზღაურება წელიწადში 12 მილიონი ევრო იქნება. ერთადერთ პრობლემას სატრანსფერო თანხა წარმოადგენს. რეალი 55 მილიონს ითხოვს, მანჩესტერი კი მხოლოდ 45-ს იხდის და ეს შესაძლოა დაბრკოლებად იქცეს.

რონალდუს იუვენტუსიდან წასვლა სურს

იუვენტუსის პორტუგალიელი ფორვარდი კრისტიანო რონალდუ დიდი ალბათობით ზაფხულში გუნდს დატოვებს, რადგან მას იუვენტუსის შედეგები არ აკმაყოფილებს. ჯერჯერობით უცნობია თუ სად გააგრძელებს ის კარიერას და ერთ-ერთ ვარიანტად მანჩესტერ იუნაიტედიც განიხილება, სადაც რონალდუმ 6 წელიწადი გაატარა.

მანჩესტერის გარდა, საუბარია პსჟ-ზეც, თუმცა პარიზელებს ეს ინფორმაცია არ დაუდასტურებიათ.

ბუსკეტსი შესაძლოა მლს-ის გუნდში გადავიდეს



სერხიო ბუსკეტსი დიდი ალბათობით ზაფხულში ბარსელონას დატოვებს და კარიერას ამერიკის შეერთებულ შტატებში გააგრძელებს, სადაც ბევრი ვეტერანი ფეხბურთელი თამაშობს. ჯერჯერობით უცნობია თუ კონკრეტულად რომელ გუნდში ითამაშებს ბუსკეტსი, მაგრამ მან ნაწილობრივ დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის ბარსელონას დატოვებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მამაკაცი სოუსის გამო მაკდონალდსის აფეთქებით იმუქრებოდა

ამერიკის აიოვას შტატში მამაკაცი მაკდონალდსის სწრაფი კვების რესტორნის აფეთქებით იმის გამო იმუქრებოდა, რომ დაწესებულების თანამშრომელს მის შეკვეთაში სოუსის დამატება დაავიწყდა. ამ ინფორმაციას ადგილობრივ პოლიციაზე დაყრდნობით ერთ-ერთი ადგილობრივი ტელეარხი ავრცელებს.

როგორც სამართალდამცავ ორგანოებში განაცხადეს, 42 წლის რობერტ გოლვიტცერ-უმცროსმა მაკდონალდსში ქათმის ნაგეთსები შეუკვეთა, მაგრამ შეკვეთის მიღების შემდეგ მასში სოუსი ვერ აღმოაჩინა. ამის შემდეგ მამაკაცმა რესტორანში დარეკა და ჯერ მისი თანამშრომლის ცემით დაიმუქრა, შემდეგ კი დაწესებულების აფეთქებით.

რესტორნის თანამშრომლებმა დახმარებისთვის პოლიციას მიმართეს. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები მას ტელეფონით დაუკავშირდნენ. გოლვიტცერ-უმცროსმა დაადასტურა, რომ შენობის აფეთქება სურდა, იგივე გაიმეორა მან დაკითხვაზე უკვე პოლიციის განყოფილებაში. მამაკაცი მოსალოდნელ აფეთქებაზე ცრუ შეტყობინების ბრალდებით იქნა დაკავებული, თუმცა ამ დროისთვის ის გირაოთია განთავისუფლებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

5 ივლისისათვის

ვერძი – გრძნობების გამოვლენა სარისკოა. საღამოს საინტერესო ამბავს შეიტყობთ ან დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდებით. **კურო** – გარშემომყოფებთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ. ემოციებს ნუ აჰყვებით. **ტყუპები** – ძლიერდება აურა, სასიცოცხლო პოტენციალი. შთაგონება გეწვევათ, რომელსაც ხორცს საკმაოდ იოლად შეასხამთ. **კირჩხიბი** – მატერიალური კუთხით პრობლემური დღეა. შემოსავალ-გასავალი მკაცრად აკონტროლეთ. **ლომი** – ინტიმურ სფეროში გიმართლებთ. ასევე სასარგებლო იქნება მეგობრებთან კონტაქტი და ახალი საქმის დაწყება. **ქალწული** – დაუფიქრებლობა, ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება დაგაზარალებთ. ალკოჰოლს ერიდეთ. **სასწორი** – პირად ცხოვრებაში შექმნილ პრობლემებს მარტივად მოაგვარებთ. დღეს კარგად დაისვენეთ. **ღრმანქალი** – ეს დღე უთუოდ ბავშვებსა და ოჯახის წევრებს მიუძღვენით. ხალხმრავალ ადგილებს მაქსიმალურად ერიდეთ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი, თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა იზრდება. საკუთარი პოზიციების დაცვას იოლად მოახერხებთ. **თხის რქა** – მოულოდნელობებით აღსავსე დღეა. მთავარია, შანსი ხელიდან არ გაუშვათ. **მერწყული** – საყვარელ ადამიანს მეტი ყურადღება დაუთმეთ. თავს ბედნიერად გრძნობთ. **თევზები** – კეთილისმყოფელი ტენდენციები გრძელდება. შესაძლოა, დაგაწინაურონ კიდეც. იზრუნეთ პროფესიონალურ სრულყოფაზე.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– სახლში რემონტი გვაქვს.
– და, რითი დაიწყეთ?
– ჩხუბით.

●●●

ქალი კაცს ეუბნება:

– რა, გაუპატიურებას მიპირებ?
– არა, რას ამბობთ...
– როგორ არა, შე მანიაკო, მოგიწევს, ამ ლიფტიდან სად წახვალ!...

●●●

მამაკაცი გამყიდველ ქალს ეუბნება:

– თუ შეიძლება ამიწონეთ 350 გრამი შაქარი, 280 გრამი ყველი და 175 გრამი ძეხვი.

გამყიდველმა ყველაფერი ხმის ამოუღებლად აუწონა, ზევიდან კი პრეზერვატივების შეკვრა დაამატა.

გაკვირვებული მამაკაცი ეუბნება:

– კი მაგრამ, ეს მე არ მომითხოვია!..
– ეს იმისთვის, რომ შენისთანები არ გამრავლდნენ!..

●●●

დილაა, ცოლ-ქმარს ჯერ ისევ სძინავს. ამ დროს ტელეფონი რეკს. ქმარი ყურმილს იღებს, უსმენს, შემდეგ კი გაბრაზებული პასუხობს:

– მე რა, აქ ავიადისპეტჩერი ვარ?!!

ცოლი ეკითხება:

– ვინ იყო, ძვირფასო?
– ვიღაც დებილს აინტერესებდა, თავისუფალი იყო თუ არა დასაფრენი ზოლი...

●●●

ერთი ქალი მეორეს უყვება:

– გოგო, გუშინ ფეისბუქზე სტატუსი გამოვაქვეყნე: „სტუმრად კარგია, მაგრამ სახლში ულიფოდ ყოფნა უკეთესია“...
– მერე?
– მერე ვიღაცამ კომენტარში დამიწერა:
– ჩემი სახლი – შენი სახლი...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მაკა ზამბახიძემ ახალ სიმღერაზე კლიპი გადაიღო

მომღერალმა მაკა ზამბახიძემ ახალი სიმღერა ჩაწერა. „გილოცავ მე შენ დაბადების დღეს“ – ასე ჰქვია სიმღერას, რომლის ავტორიც მაიკო კაჭკაჭიშვილია.

ამავე სიმღერაზე მაკამ ძალიან მხიარული, ლამაზი და ფერადი კლიპი გადაიღო და თავის ათასობით გულშემატკივარს შესთავაზა:

– უკვე შეგიძლიათ უყუროთ ჩემს ახალ კლიპს „გილოცავ მე შენ დაბადების დღეს“ მოისმინეთ, შეიყვარეთ და მიულოცეთ თქვენთვის საყვარელ ადამიანებს. მიყვარხართ.

მაიკო კაჭკაჭიშვილი, კომპოზიტორი:

– ესეც კლიპი ჩემს ახალ სიმღერაზე „გილოცავ მე შენ დაბადების დღეს“ მაკა ზამბახიძის შესრულებით. ძალიან დიდი სურვილი მაქვს მოიწონოთ, შეიყვაროთ და ყველას ამ სიმღერით მიულოცოთ დაბადების დღე. თუ მოგეწონათ, რა თქმა უნდა. ვიცი ამბიციური განაცხადია, მაგრამ მეპატიება, იმიტომ, რომ რაღა დაგიმალოთ და ძალიან მომწონს. მადლობა მაკას კარგი შესრულებისთვის. მადლობა ბორიკო შხიანს უმაგრესი არანჟირებისთვის. მადლობა ალეკო ბერძენიშვილს საუნდისთვის.

ნინო ანანიაშვილს იაპონურმა ჟურნალმა ვრცელი სტატია მიუძღვნა

პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილს ცნობილმა იაპონურმა გამოცემამ „დენს მეგეზინ“ ვრცელი სტატია მიუძღვნა.

გამოცემას 30 წელი შეუსრულდა. საიუბილეო ნომერში ჟურნალმა გამოაქვეყნა ვრცელი ინტერვიუ პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილთან. დაბეჭდილ მასალას თან ერთვის ჟურნალის სხვადასხვა წლების იმ ათი გამოცემის გარეკანის ფოტოები, რომელზეც ნინო ანანიაშვილია გამოსახული.

ნინო ანანიაშვილის შემოქმედებით მოღვაწეობას ჟურნალი მუდამ დიდ ყურადღებას უთმობს საკუთარ ნომრებში. „დენს მეგეზინმა“ არა ერთი სტატია მიუძღვნა საბალეტო დასის გასტროლებსაც იაპონიაში.

ლადო გუდიაშვილის ნახატი უცხოეთში აუქციონზე იყიდება

ცნობილი ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის ერთ-ერთი ნამუშევარი უცხოურ აუქციონზე იყიდება.

ინფორმაცია ხელოვნების სასახლის დირექტორმა გიორგი კალანდიამ გაავრცელა:

– ნახეთ, რა შესანიშნავი გუდიაშვილია, გამოტანილია უცხოურ აუქციონზე.

ამ ინფორმაციის გავრცელებამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ნაწილმა მეცენატ ბიძინა ივანიშვილს მოუწოდა, შეიძინოს ნამუშევარი და ფიროსმანივით საქართველოს დაუბრუნოს.

ზაზა პაპუაშვილი ელჩებს მიმართავს

მსახიობი ზაზა პაპუაშვილი სხვადასხვა ქვეყნის ელჩებს მიმართავს და ურჩევს, განკარგულებები საკუთარ ქვეყანაში გასცენ:

– ელჩებს! პარტნიორებს! და კიდევ ვიღაც და რაღაც ორგანიზაციებს! თითი იქნიეთ და განკარგულებები გაეცით საკუთარ ქვეყნებში. შეწყვიტეთ საქართველოს ხელისუფლებასა და მოსახლეობაზე ეს უზნეო ზეწოლა! თქვენი მხრიდან ეს გახლავთ უცხო ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევა და ძალადობისკენ მოწოდების კამპანია ე.წ. პრაიდზეა საუბარი. ამ თქვენს საქციელს მეგობრობასთან არანაირი კავშირი არ აქვს! საქართველო შეძლებს თითონ დაალაგოს, მოაგვაროს თავის პრობლემები თქვენი ჩარევის და მითების გარეშე! ანგელოზებად ნუ წარმოაჩენთ თქვენს ქვეყნებს და საკუთარ თავს. ეს საქართველოა და პატივისცემა უნდა გქონდეთ მისი ისტორიის და ფასეულობების ერთგულების მიმართ.

გიორგი სუხიტაშვილი: „არც მღვდლობა გადამიწყვეტია, არც პოლიტიკაში წავსულვარ“

მომღერალი გიორგი სუხიტაშვილი თავის ათასობით გულშემატკივარს საჯაროდ ინტერნეტით მიმართავს:

– არც მღვდლობა გადამიწყვეტია, არც პოლიტიკაში წავსულვარ, არც ბრძენკაცობას ვიბრაღებ, არც უსაქმური ვარ, რომ მეტი საქმე არ მქონდეს გარდა იმისა, რომ აქ ღაივები ვაკეთო, არც რაიმე მოგება და შემოსავალი არ მაქვს ამ ყველაფრიდან...

უბრალოდ, მეც იმ ჯაჭვის ერთი რგოლი ვარ, რომლის ორივე მხარეს გრძელდება ჯაჭვი, ზოგის ცოდნა და გამოცდილება მე მჭირდება, ხოლო ზოგს ჩემი სჭირდება და ასე ვზრდით ერთმანეთს.

მეორე მხრივ, ბევრი ადამიანი გამინაწყენდა თუ რატომ ვსაუბრობ ისეთ საკითხებზე, რაზეც ვსაუბრობ და როგორც ვსაუბრობ. კიდევ ერთხელ გთხოვთ, თუ არ გსურთ გიორგი სუხიტაშვილის (სუხიტას) საუბრის მოსმენა, მის გარდა მილიონობით ადამიანია და ნუ დაიღლით თავს მისი „ჭკუის სწავლებით“.

მე არავის არ ვეძალავები მომისმინეთ-თქო და თქვენც ნუ ცდილობთ სხვა ადამიანებსაც მოუშალოთ ნერვები იმის ძახილით, თუ ვინ რატომ საუბრობს და რაზე, არც ჩემი საქმეა თქვენს სოც. ქსელში, თქვენს მეგობრებში და ოჯახში რაზე საუბრობთ და რას აკეთებთ და არც თქვენი საქმეა, სხვა რას იტყვის სად და როდის.

მომიტევეთ ამ ტიპის განცხადების გამო, მაგრამ რიგი ადამიანები წყვეტენ, ვინ სად რა უნდა თქვან. ხოლო თქვენ კი, ვისაც გაინტერესებთ, რას ვამბობ, როდის და როგორ, ძალიან მიყვარხართ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოხსვოხდი ↄ



შვეულად: 1. კომპანიის, ფირმის ფინანსური მდგომარეობის, ქონების შემფასებელი ექსპერტი; 2. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 3. ნიჩბოსანთა ნავის მოძრავი სკამი; 4. უძრავი ქონების დროებით დაქირავება; 6. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ახალ ზელანდიაში; 9. აზერბაიჯანული ნაციონალური კერძი; 11. საკანცელარიო ნივთი; 15. დენის ძაბვის საზომი ხელსაწყო; 16. ქულა ძიუდოში; 17. გულიანი კამფეტი; 19. ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი; 21. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 22. პურეული მცენარე.

თარაზულად: 5. სვანური ციხე-კოშკი; 7. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანი; 8. თოჯინა „ბარბის“ მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 10. ქართველი სუმოისტი; 12. სატანვარჯიშო იარაღი; 13. ცვალებადი მიმართულების სუსტი ქარი ზღვის სანაპიროზე; 14. ისტორიული ციხე-სიმაგრე ქვემო ქართლში; 18. ფიასკო, სრული მარცხი; 20. ტკბილი დაუდუღარი ყურძნის წვენი; 23. სისხლის შენადედი სისხლძარღვებში; 24. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 25. აჭარული ცეკვა; 26. ცხენისა და ვირის ნაჯვარი; 27. კაცობრიობის მიერ განვლილი გზა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა